

დემოკრატიული საქართველო

La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

M A I

1933—№ 89

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

შ ი ნ ა ა რ ს ი :

ნ. ყაღდანი—26 მაისი.

მეთაური—დემოკრატია თუ დიქტატურა?

კაცი—უფლება აყრილი ერი.

გენდ—აფხაზეთი უახლოეს წარსულში და დღეს.

მ. მუსხელიშვილი—გადაშინჯვის საკითხი კავკ...

ალ. ასათიანი—ქართული იდეა.

რ. ინგილა—აღდგომა.

ქართული სექცია ნაციონალიზმის ლიგისთვის.

ალფა—საბჭოთა კავშირის ცხოვრებიდან.

N—ქართველთა კოლონიზმი.

ადმიწარსულ გეპრატის მოხსენება.

ელ.—წერილი პრალიდან.

საქართველოს ამბები.

ს. ფირცხალავა—ისტორიული ამბები.

2 6 მ ა ი ს ი

ეს მეცამეტეჯერ ვლდესასწაულობთ 26 მაის საზღვარ-გარეთ.

ეს მეცამეტე წელია ქართველი ერი ამ თავის აღდგომის დღეს ვერ ვლდესასწაულობს, მას შესაფერათ ვერ ეგებება და უფლება აყრილი, ტყვეთ ქმნილი, მას მხოლოდ თავის გულში ატარებს. ამ დღეს აქ და იქ. გადმოხვეწილი ქართველი და სამშობლოში მყოფნი ფიქრობენ ერთნაირათ, უცემთ გული ერთხმინათ, შედუღებულნი ერთი აზრით, ერთი იდეალით. ეს იდეალი იყო, არის და იქნება ერის ტყვეობისაგან განთავისუფლება, წართმეული თავისუფლების დაბრუნება.

ამ დროის გამარჯვების თავდებია ერთი პირობა—ქართველი ხალხის მტკიცე ნებისყოფა, მისი მორალური ძალა, დაუშრეტელი ენერჯია, თავის თავის ერთგულება და მტერ-მოყვარის გარჩევა. ყველა ეს თვისება ქართველობის სამკაულია. მას ის თან ახლავს მუდამ, ამით მოდის ის ისტორიის ეკლიან გზაზე და გამოცურა არა ერთი და ორი აბობოქრებული ტალღები. რამდენი ძველი ხალხი ჩაიხიჩო ამ ტალღებში, რამდენი მისი თანამგზავნი დაეცნ შუა გზაზე; ფეხზე, თავის მიწა-წყალზე, დარჩა ჩვენი პატარა ერი და ძველებურათ, იმედიანათ გაყურებს მომავალს.

ერი მორალური პიროვნებაა, მას აქვს თავისი

ეთიკა, თავისი დისციპლინა, თავისი კალაპოტი, რომლისაგან ამოვარდნა მას ღუპავს. ის იძულებულია ამოვარდნილ ისტორიულ გრიგალს პირდაპირ დახვდეს, გული მიუშვიროს და შეებრძოდოს. მას არ შეუძლია დამალვა, გაქცევა, გადახვეწა. ამ ნიადაგზე მაგრათ მდგომი, ის აძლევს სავალ კალაპოტს, სამუშაო ხაზს მოწინავე მებრძოლთ, მედროშეთ და წინამძღვართ. მისი მეთაურია მხოლოდ ის ვინც ამ კალაპოტში რჩება, მისი დროშა მხოლოდ ის, რომელიც მის ტანჯვა-ვაებას აღბეჭდავს. ხალხი თავის თავს ვერ გადაუხვევს, ეს მისი ბუნებაა. კერძო პირი კი მოკლებულია ამ სტიქიას, მისი გზაკვალი განუსაზღვრელია, უსწორ-მასწორა. მისი გადახვევა-გადმოხვევა, ბუდიდან ამოვარდნა, კერძო ინტერესის საზოგადოებრივ მალა დაყენება ჩვეულებრივი მოვლენაა. რაც უბედურობა თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას წასულში და დღეს, სწორეთ ამ მიზეზით აიხსნება. მუდამ ხალხს მოსწყდებოდა მთელი წყება წყალწაღებული ადამიანებისა და მათ მოველინებოდა ბატონათ და მტანჯველათ უცნო ძალასან დაკავშირებით. ესენი მირბოდენ წინეთ ჯერ სპარსეთში, შემდეგ რუსეთში თავიანთი ეგოისტური ინტერესების გასამარჯვებლათ ქართველი ერის ხარჯზე, ასე მირბიან მოსკოვის კარზე დღესაც ამ დაბეჩავებული ერის ნადირალები.

და ასე სწუწნიან ხალხს მისი შინაური და გარეშე მტერი შეერთებული ძალებით. რით უძლებს ამ სვა- ვებს ერი? მხოლოდ ერთი თვისებით—მორალური ძლიერებით, ერთათ დგომით, საერთო შინაური ფრონტით, მაგარი სულით და გაუტყეხელი ნების- ყოფით. მტერი მას არ შეუყვარდება. მტერმა ეს კარ- გათ იცის და ცდილობს მას შემოუაროს მისი მო- რალის გატეხით, მის მებრძოლთა შორის შუღლის გაჩაღებით, ფრონტში ფრონტის შექმნით და ხალ- ხისათვის ამ გზით ზურგიდან მახვილის ჩაცემით. გაყევი და იბატონე, გზა ძველი, გაცვეთილი, მაგრამ მუდამ ახლათ ამუშავებული. ამ ხაფანგს მუდამ გასავალი აქვს დაბნეულთა და მერყევ ელემენტთა შორის.

პოლიტიკა ბრძოლაა; ამ ბრძოლას ესაჭიროება შესაფერი აპარატი, ურყევი ორგანიზაციები; დაცვა ამ აპარატების გარეშე მტრისაგან ადვილია თუ მას ზურგი მაგარი აქვს, თუ შინაური მტრისაგან დაცუ- ლია. გაყოფილ ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიან. ვისაც ეს ასე არ ესმის—მებრძოლი არ არის, პოლი- ტიკაში შემთხვევით შემოხიზნულია. მარტო ღმერ- თო, ღმერთოს ძახილით სამოთხეში ვერავინ შევა. 26 მისი ესაჭიროება შესაფერი საქმე, გზა მისკენ მი- მავალი. ის ითხოვს ბრძოლის მეთაურთა ისეთსავე მორალურ ძალას და ერთობას, როგორც არის თვით ხალხში. დაადევით ყური დედამიწას და გაი- გონებთ საქართველოს მიწის გამოძახილს, გაიგო- ნებთ ქართველი ერის სულისთქმას, მაჯისცემას და მიაგნებთ ნამდვილ გზას. საქართველოს აქვს პოლი- ტიკური ხერხემალი, ის მტერმა ვერ გასტეხა და ვერც გასტეხს. ამ ხერხემალის რგოლებია იქ, სამ- შობლოში, სოციალდემოკრატიული ორგანიზაციე- ბი და მასთან დაკავშირებული სხვა ანტისაბჭოთა პარტიები, აქ ნაციონალური მთავრობა და მის ირგვლივ დაწყობილი პარტიული ორგანოები. ამა- თი არსებობა დამოკიდებულია ქართველ ხალხზე, პასუხს აგებენ მის წინაშე და არავითარ გარეშე ძალას არ ძალუძს მათი გაუქმება და გზიდან გადა- გდება.

ნაციონალურმა მთავრობამ მიიღო მანდატი დამფუძნებელ კრებისაგან, მას შეეყრება ტანჯული ერი და ის დარჩება თავის პოსტზე ბოლომდე, გამა- რჯვებამდე. 26 მისი მისი დროშაა; ის მისი უმაღ- ლესი გამომხატველი და დამცველია და მას ვერ დასწევს, ძირს ვერ დაუშვებს ვერავითარი საგარეო

მომენტების წინაშე. საქართველოს ოფიციალუ- რი ლეგაცია იქნება თუ არა საფრანგეთში—ეს არ ვიცით, ვიცით მხოლოდ რომ ნაციონალუ- რი მთავრობა იქნება, მისი გამაუქმებელი ძალა უცხოეთში არ არის; მისი გაუქმება შეუძლია მხოლოდ მის შემქნელს, მის დედას—ქართველ ერს.

საქართველოს მის ორი ათასი წლის ისტორიის მანძილზე დღეს პირველათ ყავს თავისი საკუთარი პოლიტიკური წარმომადგენლობა ევროპაში, პირ- ველათ ყავს აქ პოლიტიკური ემიგრაცია. ყველა წი- ნანდელი ემიგრაცია არ გაშორებია სპარსეთს, ოს- მალეთს და რუსეთს. ევროპის ფართე წრეებმა პირ- ველათ ახლა გაიგო ჩვენი ერის სულისკვეთება. მისი წასული, აწმყო და მომავალი ლტოლვილება. თუ წინეთ ის გადაბმული იყო დასავლეთთან კულტუ- რულათ, ახლა ის გადაება პოლიტიკურათ, ადამიან- ნების საშუალებით. ეს დიდი მისია, ეს დიდი როლი, რაიცა წილათ ხედავად მოხვეწილ ქართველობას, უნდა იქნას შესრულებული ღირსეულათ, მოვალეო- ბის შეგნებით და ერთგულებით. დაქსაქსულობა, დანაწილება, ერთიმეორის წინააღმდეგ დარახმვა მიუტყევებელი დანაშაულობაა ერის და ისტორიის წინაშე. საქართველოს პირველ პოლიტიკურ ემი- გრაციამ უნდა აჩვენოს მაგალითი და იყოს ღირ- სეული წარმომადგენელი მებრძოლი ერის გაუტე- ხელობის, სულის სიმაგრის, ერთობის და მთლიან- ნობის.

26 მისი ჩვენი გამაერთიანებელია, ჩვენი მთლი- ანობის სიმბოლოა, ჩვენი საერთო დროშაა. დღეს საქართველოს სინამდვილეში არ არსებობს შინაგანი განხეთქილების არც ერთი მომენტი, არც პოლიტი- კური, არც სოციალური, არც კულტურული და სა- ზოგადოებრივი. ჩვენ ყველა ვიბრძვით არსებობის ძირეულ, უდაო და მიუცილებელ საფუძვლისათვის. ჩვენ გვირდა ვიყოთ ჩვენი თავის ბატონი და პატრო- ნი, როგორც ერი, როგორც ხალხი, როგორც პირო- ვნება. ყველა ეს უფლება წართმეული გვაქვს და ეს საერთო უბედურება აერთებს ყველას, განურჩევლათ რწმენისა, პროგრამული სხვადასხვაობისა და სოცი- ალური მდგომარეობისა.

ჩვენ და ისინი, საქართველო და მისი მტა- რვლები, შუაში უფსკრულია, ხიდექტი წაღ- ბულია. 26 მისი ჩვენი ხარტია, მათი სახარხო- ბელაა...

დემოკრატია თუ დიქტატურა?

გვემინია ცუდად არ ჩამოგვერთვას! განა არსებობს ჩვენთვის ეს კითხვა?—გაიკვირვებს მკითხველი. არსებობს და კიდევ არ არსებობს.

არსებობს იმდენათ, რამდენათ ჩვენი ქვეყანა, ავერ 12 წელიწადია, დიქტატურის ქუსლის ქვეშ გმინავს. რა დაგვრჩა, რა დავსტოვებთ?—ეს ორი კითხვა პასუხიცაა იმავე დროს.

არ არსებობს იმდენათ, რამდენათ ერი განაგრძობს ბრძოლას თავის დროშის ქვეშ, აქვს თავისი დაწერილი კონსტიტუცია, რომლის ძალით დემოკრატია მისთვის ძირითადი კანონია, თავისუფლება—იდეალი, შრომა—უმალესი პრინციპი.

მაგრამ ეს კითხვა საბედისწერო გამხდარა მთელი ქვეყნიერებისათვისაც. გაიხედეთ: რუსეთში ბოლშევიზმი, იტალიაში ფაშისმი, გერმანიაში პიტლერიზმი! დააკვირდით ორ დიდ სახელმწიფოს: იაპონიაში გენერალ არაკის პროუნციანენტო, შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის დიქტატორის უფლებით აღჭურვა. დარჩა ინგლისი და საფრანგეთი, სადაც ასე გახშირდა ხელისუფლების «გადლიერებაზე» წერა და ლაპარაკი.

რას გვეუბნება ყველა ეს? ქვეყნიერება, კაცობრიობა თითქო დასწულდა, დაშლის პროცესში შედგა ფენი, სოციალურ კატაკლიზმების წინა სდგას. ამას ზედ ერთვის ერთა დაპირისპირება, ომისა და აქედან ცივილიზაციის დედამიწიდან აღგვის შიში.

არავინ უარყოფს, თვით დემოკრატია, რომ საჭიროა ძლიერი ხელისუფლება ქვეყნიერების ხსნისათვის. მაგრამ აქ იწყება სწორეთ აზრთა სხვადასხვაობა. როგორი უნდა იყოს ხელისუფლება, ვის ეკუთვნის, რაზედ ეყრდნობა? ბოლშევიკებმა, ფაშისტებმა, პიტლერისტებმა, თვითუფლმა თავისებურათ გადასწყვიტა ეს კითხვები, მაგრამ საერთო ისაა მათ შორის, რომ ისინი ერთნაირათ უარყოფენ პარლამენტარულ წესებს, დემოკრატია, ლიბერალიზმს და სახელმწიფო გამოაქვთ ისეთ ძალად, ვიტყოდით ისეთ არსებად, რომლის წინაშე მუხლი უნდა მოიდრიკოს, დამუნჯდეს ცალკე პიროვნება თუ კლასი, ყოველი დაჯგუფება. რასაკვირველია, ესეც უბრალო სიტყვის მასალაა, ვინაიდან ფაქტიურათ თვითონ ბატონობენ და სახელმწიფოდ თუ ვრად თავის თავს ასაღებენ.

არის მეორე მომენტი, უფრო საყურადღებო. დღევანდელი დიქტატურა უკანცდება არსებულ სოციალ-ეკონომიურ რეჟიმს, ლამობს მის აღმოფხვრას

ან კიდევ საფუძვლიანათ შეკეთებას, ამიტომ რევოლუციონერად მოაქვს თავი. ბოლშევიზმი უფრო ლოდიკურია, რა თქმა უნდა, დასავლეთის ქარგონით და აღმოსავლეთის გახურებული შანთით ის «სპობს კაპიტალიზმს და აშენებს სოციალიზმს». ფაშისტები და პიტლერისტები ასე შორს არ მიდიან, სჯერდებიან რეჟიმის შეკეთებას, გადახალისებას, რომ კიდევ იბოგინოს მან, თუ გინდ ახალ ფორმებში.

მათ მაინც გაიმარჯვებს ამ დროებით, ყოველ შემთხვევაში, და ეს კი ბევრს ნიშნავს. მართლაც, თუ დიდ სახელმწიფოებში—ესთქვით მარტო ევროპაში—გაიმარჯვა დიქტატურამ, მაშინ უიმედოა დემოკრატია ხსნა საშუალო და პატარა სახელმწიფოებშიც, მათ შორის ზოგიერთში ხომ უკვე დაკარგეს იგი. და მერმე, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, დემოკრატია უბრძოლველათ დასთმო ძალა-უფლება! ამ გარემოებას კერენსკიც კი იხვევს ხელზე: შეხეთ, როგორ დამორჩილდენ ერთი თოფის გაუსროლელათ, ჩვენ კი ვიბრძოლეთ და დავმარცხდითო.

კითხვა უფრო რთულია, სამწუხაროთ, ვინემ ყოფილ პრემიერს ჰგონია. ამისათვის საკმარისია ყველაზე მახლობელ, ყველაზე ცოცხალ ამბებს დააკვირდეთ. რას წარმოადგენდა გუშინ გერმანია, რას წარმოადგენს დღეს? უძლიერესი დიდი სახელმწიფო ევროპის შუაგულ, არა იარალით, არამედ მრეწველობით, ტექნიკით, ორგანიზაციით, მეცნიერებით—გერმანელი ერი საყოველთაო არჩევნებით გადასცემს პიტლერს ძალაუფლებას! ნუ დაივიწყებთ, მუშათა კლასმა თითქმის მარტო საარჩევნო ბრძოლით მიადწია იმას, რაც იყო გუშინ. რევოლუციური ტრადიცია მას აკლდა, 60 წელზე მეტი მიჩვეულნი დემოკრატულ მეთოდებს, უმრავლესობა-უმცირესობის კანონს; როგორ გნებავთ, რომ გერმანელი მუშები აჯანყებოდნენ უმრავლესობის გადაწყვეტილებას? ამას ზედ დაურთეთ მოსკოვის გამთიშავი ტაქტიკა: გერმანიის 5 მილიონიანი კომპარტია უფრო დაუზოგველათ სოციალდემოკრატიათ ებრძოდა, ვინემ ნაციონალ-სოციალისტებს. ექვსი მილიონი უმუშევარი, იმდენივე გამოგანებული წვრილი ვაჭარ-ხელოსანი კიდევ სხვაა. მსხვილი მრეწველ-ბანკირები და მიწადმფლობელები ხომ დიდი ხანია გადაუდგენ ვაიმარის კონსტიტუციას და მთელი თავისი გავლენა—დიდი პრესა და თანხები—პიტლერის გამარჯვებას მოახმარეს. ასეთ პირობებში ბრძოლის მიცემა იმა-

თვის, ვის ზურგზედ უნდა გადაეკროლა ამ ქარიშხალს, ასე ადვილი არ იყო.

ჰიტლერის მიხედვით მამოძრავებელი ძალა ნაციონალიზმია, ჩამოქვეითებული რასათა გარჩევამდე, ებრაელთა დევნამდე. ჰკა მარქსიზმს, გერმანია მან დაღუპა—აი ჰიტლერის ლოზუნგი, და მისი მიმდევარნი მოედნებზედ სწავენ ამ მიმართულების წიგნებს, სამეცნიერო გამოკვლევებს, ან კიდევ მემარცხენე მწერალთა ხელოვნურ ნაწარმოებთ. გერმანიის სოციალდემოკრატიას არ აკლდა ეროვნული გრძობა, პირიქით!—მაგრამ მისი პოლიტიკა იყო მშვიდობიანობის, განიარაღების, ამ გზით სწადდა მას სამშობლოს განთავისუფლება ვერსალის ზავისაგან. ჰიტლერის მიხედვით, ომით ლამობს უფრო მეტის მიღწევას და თანაწილობის მოთხოვნის გასაძვირებლად. განიარაღებულნი, გვერდებ შელწილი, კოლონიებ ჩამორთმეული გერმანია მისთვის მიუღებელია, აქედან ის უაღრესი აღტყინებაც, რომელსაც მოუტყავს პლებსი, განსაკუთრებით ახალი თაობა.

მაგრამ მთავარი გაჭივრება გერმანიისათვის მაინც ეკონომიური კრიზისია, ის უფრო მწვავეთ გრძობს მას, ვინემ ვეროპის სხვა რომელიმე სახელმწიფო, და გამოსავალსაც ვერ პოულობს. ეს კი კაპიტალისტური წესწყობილების კითხვას აყენებს დღის წეს-რიგში. მას ემუქრებიან მარჯვნივ და მარცხნივ.

მუსოლინიმა სთქვა დასაწყისში ფაშიზმი საქსპორტო საქონელი არ არის, დღეს სხვა აზრისაა, სწორეთ ამიტომ მიიჩქარიან რომში დიდი და პატარა ქვეყნების ფაშისტები, რომ მისი ლოცვა-კურთხევა მიიღონ. დიქტატურამ გაიმარჯვა ვეროპის ერთ ნახევარში და ემუქრება მეორე ნახევარსაც, ე. ი. მთელს ხაზზედ გამარჯვებას ლამობს.

მაგრამ გამარჯვება ერთია, ხლო მისი ბოლომდის შენარჩუნება—მეორე, საბჭოთა მაგალითი გვიმტკიცებს, რომ ამ მხრივ საქმე ვერაა ჩინებულათ. მათი «სოციალიზმი» გაკოტრდა, ამაში დღეს არავინ ეჭვობს. ამას უთუოთ უნდა მოყვეს დიქტატურის დამხობაც. მართალია, მოსკოვი, მზგავსათ დასავლეთისა, «სოციალისტურ სამშობლოს» დაცვას აწერს თავის დროშაზედ, მაგრამ ჩვენ უკვე ვხედავთ, როგორ იცავს მას შორეულ აღმოსავლეთში. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა შეიძლება დაკარგულად ჩაითვალოს, მოსკოვი მზათა ვლადივასტოკიკი კინტერლანდით ზედ დაურთოს, ოღონდ იაპონიასთან შეტაკებას თავი დააღწიოს.

სხვაგვარია მდგომარეობა იტალიასა და გერმა-

ნიაში. იქ არ ისახვენ მიზნად სოციალისტურ გარდაქმნას, კერძო საკუთრებასაც სტოვებენ, მაგრამ შესძლებენ თუ არა შრომისა და კაპიტალის შერიგებას, კლასთა ბრძოლის მოსპობას და ამ გზით თანამედროვე დიდ ეკონომიურ კრიზისის დაძლევა—ეს სხვა კითხვაა. იტალიის ათი წლის მაგალითი ჯერ ამის საბუთს არ იძლევა, კრიზისი არ წელდება, მწვავედება. რაც შეეხება გერმანიას, ის უთუოთ გამოიყენებს თავის მძლავრ ტექნიკურ აპარატს და ცოდნას ამ კვანძის გასახსნელათ, შეიძლება ვერც წოდებული ავტარკიაც მიიშველოს, მაგრამ სწორეთ მზგავსი ექსპერიმენტი დახვეს მას ათეულ წლებით უკან.

ამ რიგათ, როცა დიქტატურა გაიშვილდება, დაკარგავს ეკონომიურ ნიადაგს, ვერ გაამართლებს მასების იმედებს, მაშინ დაიწყება მისი ძირს დაქანება... დღეს მას აჩერებს რკინის დისციპლინა, პოლიტიკურ თავისუფლების და ეკონომიურ თაოსნობის შეზღუდვა ან მთლათ მოსპობა.

სოციალისტების და საზოგადოთ რესპუბლიკანელების მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ მათ სურთ რეჟიმის გარდაქმნა თუ გადახალისება დემოკრატიული გზით. ეს ნიშნავს ხალხის თავისუფალ მიმხრობას, უმრავლესობის შოვას და რეფორმების საკანონმდებლო წესით გატარებას. მაგრამ ყველა ეს კულტურულათ აწევის კითხვაა, გათვითცნობიერების, ყოველმხრივ დაწინაურების, რაიცა ერთსა და ორ დღეში არ ხდება.

დასავლეთის დიქტატურამ ერთი მაინც ცხადათ დაგვანახა: სოციალისტურმა პარტიებმა სათანადო ანგარიში ვერ გაუწიეს ერის სულსკვეთებას, მის მორალს, საზოგადოთ მეორდება, რაც 1914წ. მოხდა. დღესაც, როგორც მაშინ, სოციალისტურ ინტერნაციონალს გამოეთიშა, სულ ერთია ნებით თუ უნებლიეთ, უძლიერესი სექცია გერმანიის სოციალდემოკრატიის და სინდიკატების სახით. უკვე ლაპარაკობენ ინტერნაციონალის კრიზისზე და ეს მართალია, თუ მივიღებთ მხედველობაში მის ბოლშევიზანობას, რაიცა გამოიხატა მოსკოვთან ბლოკის ცდაში.

ჩვენი სოციალისტები ასეთ შეცდომებისგან დაზღვეულათ უნდა ვიგულოთ, მათ უკვე გამოაქვეყნეს პროტესტი ბოლშევიკებთან საერთო ფრონტის წინამდევ. როცა სამშობლო განსაცდელშია, უნდა მიმართო არა მის მოსისხლე მტრებს, არამედ საკუთარ ერის სასიცოცხლო ძალებს, რომლის გამომხატველი პოლიტიკური პარტიები ერთგული დარჩენილან ერის კონსტიტუციის და მისი უზენაესობის. საერთაშორისო ოჯახში მხოლოდ იმ ერს შეუძლია ღირსეული ადგილი დაიჭიროს, ვინც შინ ერობს,



ძაფს არ სწყვეტს წარსულთან, მაგრამ მით უფრო მტკიცეთ მიაბიჯებს პროგრესისა და დემოკრატიის გზით.

შეიძლება ითქვას, არის 25 თებერვლის საქართველო, გაყალბებული, ლეჩაქ ანდილი, გაპარტახებული. თუ არა გჯერათ, გადაიკითხეთ აქ და «ბრძოლის ხმა»-ში მოთავსებული წერილები სამშობლოდან. არის 26 მაისის საქართველო, ნამდვილი, უძლვეგი, წარმტაცი. რამდენათ ბრიყვი, რამდენათ რეგვენი

უნდა იყოს მტერი, როცა ფიქრობს პირველი სძლევს მეორესო!

იყო დრო, როცა ქართველი ერი, საუკუნეთა ბრძოლებისგან მოქანცული, სისხლ დაცილილი, ძილს მისცემდა და «ერთმორწმუნე» რუსეთი სულთათნას უგალობდა. როგორ მწარეთ მოსტყუვდა, როგორ გაიღვიძა ერმა, როგორ შეუტია იქით, როგორ გაუძღვა მილიონებს და მიწაზედ დაანარცხა რომანოვების ტახტი...

უფლებას ახრილი ერი

იცი, მკითხველო, რას ნიშნავს უფლება აყრილი ერი?!

შენ უეჭველათ დაფიქრებულხარ მასზე, ვინაიდან შენ თვით უფლება აყრილი ერის შვილი ხარ.

— დამეთანხმები, რომ იგი ყველაზე დიდი უბედრება და სასჯელია ადამიანისთვის.

შენ გავგვანება, რომ ეს და ეს პირი დამნაშავეთ იცვნეს და «ღირსება ახადესო».

ეს იმას ნიშნავს, რომ დასჯილს თავისი საკუთარი არაფერი აღარ გააჩნია,—არც კარი და არც მიღამო, არც ოჯახი და არც ეკლესია. იგი თავის ოჯახშიც კი უუფლებო წევრია. არც საზოგადოებაში სარგებლობს რაიმე უფლებით, არ აქვს არავითარი ხმა. მოკლეთ რომ ვსთქვათ, ასეთი პირი—ცოცხალი მკვდარია.

შენ აგრეთვე იცი ისიც, რომ, როცა უნდათ წოდება ან კლასი მონობასა და მორჩილებაში იყოლიონ, მას დანარჩენ მოქალაქეებთან უფლებაში არ ათანასწორებენ. და თუ ოდესმე ჩაგრულმა ასეთი მოიპოვა, ცდილობენ იგი ისევ წაართვან მას. ასეთ მდგომარეობაში მყოფ წოდებასა და კლასს არ შეუძლიათ ნიჭი გაშალონ, მათი შემოქმედებითი ძალა შეზღუდულია. ამის ცოცხალი მაგალითი დღევანდელი საბჭოთა კავშირია.

ერთი სიტყვით, უფლება აყრილი კლასი და წოდება თავისივე ერის «უკანონო შვილია», მისგანვე დამცირებული და დაბეჩავებული.

რას წარმოადგენს უფლება აყრილი ერი?

-- არაარობას.

მისი მთელი ცხოვრება—წამებაა. მისი სულიერი ტანჯვა—მიუწოდებელია.

აი რა ხდება ჩვენი თვალის წინ:

როცა გერმანელ რასისტებს უნდათ ებრაელები სასტიკათ დასაჯონ, მათ გერმანელი მოქალაქის უფლებას ყრიან. დღეიდან გერმანიაში ებრაელ მეცნიერს არ შეუძლია-იმეცნიეროს, კომერსანტმა-ივაჭროს, მუშამ-იმუშაოს, ახალგაზდამ-ისწავლოს, პოეტმა-იპოეტოს, მგალობელმა-იგალობოს, ახალგაზდა ქალმა და ვაჟმა ვინც სურთ ის შეიყვარონ!

ქუშმარტათ, უსასტიკესი სასჯელია. მაშ რა გასაკვირია, რომ მთელი ებრაელობა ამის გამო აღსდგა და შეშფოთდა!

კულტურულმა საზოგადოებამ ებრაელთა ეს დევნა სამართლიანათ დაგმო.

ქართველს ყველაზე უფრო შეუძლია გაიგოს ეს უსამართლობა, ვინაიდან იგი თვითონ არის თავისავე მამულში დევნილი და შევიწროებული.

შენ კარგათ მოგვესენება მკითხველო, რომ ქართველ ერს ბედი ამ მხრით ხშირათ არ სწყალობდა. ამიტომ მას კარგათ ესმოდა: «გოდებს ისრაელ, მოსთქვამს იუდა, და ებრაელნი სტირიან ერთხმით!..»

განა დღეს მთელი საქართველო არ მოსთქვამს და არ გოდებს! და ისიც თავის მიწა-წყალზე!

ჩვენი ერი ძლიერ «გლახა მთვარეზე აღმოჩნდა დაბადებული». ბუნებამ ის და მისი მიწა წყალი უაღრესათ დააჯილდოვა სიმდიდრითა და სილამაზით. სამაგიეროთ სასტიკათ დასაჯა ისტორიამ.

—მოგვხდით მტერთა რკალში მომწყვდეული, რომლებიც მუდამ ცდილობდნენ ჩვენს განადგურებას.

კულტურულმა სახელმწიფოებმა პატარა საქართველოს მეზობლობა ვერ გაუწიეს ვერც მე-15-ში, ვერც მე-19-ში და ვერც მე-20 საუკუნეში.

ჩვენი ისტორია არ განვითარდა არც ბელგიის, არც სკანდინავიის, არც შვეიცარიისა და არც ბალტიის მხარის ერთი ისტორიის გზით.

ეს იყო ჩვენი ერის ტრაგედია და ამაში გამოიხატება იგი დღესაც.

15 წლის წინეთ ჩვენ «ისტორიული რკალი» გავარღვიეთ, 26 მაისის დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, და დემოკრატიული რესპუბლიკა შევქენით. ეს იყო ერის უფლების მოპოვება, დაკარგული ვინაობის აღდგენა.

სამი წელი ქართველმა ხალხმა თავის უფლებისა და ვინაობის შიგნით და გარეთ განმტკიცებას მოანდომა. ეს იყო იმ დროს ერის მუშაობის მთავარი საგანი, დანარჩენი კი მის ქვემდებარეს და მეორე ხარისხოვანს წარმოადგენდა.

ქართველმა ერმა ამ მხრით მიხანს მიაღწია. ბოლოშევიკებმა 12 წლის განმავლობაში გახურებული შანთითაც კი ვერ შესძლეს ჩვენს ხალხში თავისუფალი საქართველოს იდეის აღმოფხვრა, ხოლო უცხოეთში დამოუკიდებელი საქართველოს აჩრდილი მოსკოვის მოსვენებას დღესაც არ აძლევს.

აი რა მისცა სამმა წელმა ქართველ ერს. ეს იყო მთავარი საფუძველი, რომელზეც მერმე კედლები უნდა აშენებულიყო.

საფუძველი სწორი და სალი იყო. კედლების აშენების საერთო გეგმაც სწორი ქონდა მას. ყოველ შე-

მთხვევაში ქართველი ერი ააწინებდა მას ისე, როგორც ამას მისი არსებობის ინტერესები მოითხოვდნენ. ეს იქნებოდა მისი თავისუფალი შემოქმედების ნაყოფი და არა მტრისაგან ნაკარანახევი.

12 წლის წინეთ მტერთა რკალი ისევ შემოგვეტყა. რუსეთმა და ოსმალეთმა ერთიმეორეს მეგობრობის ხელი გაუწოდეს და საქართველოს დაპყრობა გადაწყვიტეს. ჩვენი ისტორიული მტრები დამეგობრდნენ, ხალხ მოყვრათ მოსულმა ევროპამ, ლოიდჯორჯის პირით ზურგი შეგვაქცია.

ქართველი ერი ისევ შეკრეს და ყოველი უფლება აყარეს. მისთვის ეს განვლილი 12 წელი ისტორიული 12 «შავი ორშაბათია». ან რით განსხვავდებიან მოსკოველი დიქტატორები მონღოლთა ყაენებისგან?! მხოლოდ ისტორიის მანძილით.

მოსკოველმა ყაენებმა ქართველ ერს ისევ აყარეს თავისი ღირსება და უფლება. ამიტომ მისი მდგომარეობა დღეს გაცილებით უარესია, ვინემ ოდესმე ყოფილა.

— თქვენ ძლიერაც რომ მოინდომოთ, აქაურ ჩვენს გაკვირებას, მაინც ვერ გაიგებთო; გვწერენ საქართველოდან.

და მართლაც, ვის ძალუძს შორიდან ყველა იმ უბედურების განცდა და გაგება, რომელსაც დღეს საქართველოში ხალხი განიცდის?!

ჩვენ შეგვიძლია მას მხოლოდ მივხვდეთ, აი მაგალითათ:

იქ დღეს ქარხნებსა და ჰიდრო-ელექტრო სადგურებს აშენებენ. ქართველი ბოლშევიკები ამით ტრაბახობენ და ცდილობენ დამალონ ხალხის უკიდურესი გაკვირება.

ბრმა და ყრუ უნდა იყოს, რომ ვერ დაინახოს და ვერ დააფასოს ბოლშევიკური აღმშენებლობა!

ერთი რომ იგი არც ისე დიდია, როგორც მასზე გაკვირებენ. შედარებით საბჭოთა კავშირის დანარჩენ ნაწილებში წარმოებულ აღმშენებლობასთან, საქართველოსი ისე პატარა და არა თვალსაჩინოა, რომ დიდი კომისრები და ბელადები მასზე ლაპარაკს თავის მოხსენებებში არც კი კადრულობენ. ამით მხოლოდ ფ. მახარაძეს შეუძლია იტრაბახოს. ჩვენში წარმოებული ბოლშევიკური აღმშენებლობა ისეთივე გიგანტურია, როგორც ფილიპეს მოყვანილობა და ისეთივე აწრიაანი; როგორც—ფილიპეს წერილები.

ამ «საწრიაანი» აღმშენებლობის წყალობით მთელი საქართველო დამშუული და ტიტველია. გურიასა და სამეგრელოში ჩაის რგავენ და სიოლს სთესენ, მჟადი კი, ხალხს სანატრელათ ვახდომია.

ასეთ უკულმართ აღმშენებლობას აქვს ადგილი იმიტომ, რომ მას ეწყება არა ქართველი ხალხი, არამედ მისი მტერი. აშენებენ მას, რაც საბჭოთა კავშირის მეტურნობას გამოადგება, რაც ავიტაციო-პროპაგანდას წაადგება.

ყვირიან ქართული ლიტერატურის წინსვლაზე, მის აყვავებაზე.

— არასოდეს ქართული მწერლობა ასე შებორკილი არ ყოფილა. მეფის დროს ცენზურა არსებობდა, ამა თუ იმ ნაშრომს კრძალავდა ხალხმე. მაგრამ არ ყოფილა, რომ რუსთა მწერლების კავშირს ქარ-

თველი მწერლისთვის ეკარანახოს—შენ ასე იაზროვნე და ასე წერეო.

დღეს კი ქართველ მწერლობას ლენინარსკი და გროსსკი მოსკოვიდან მოწერილობას უგზავნის და ასწავლის, როგორ უნდა სწერონ და რაზე უნდა სწერონ. და ამას ბოლშევიკურ ენაზე «ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური» შემოქმედება ეწოდება!

სიტყვით ვითომ ქართულ ენას იცავენ, საქმით მას ყველგან სდევნიან და ავიწროებენ. «ქართულსა და აფხაზურ სკოლებს, სწერს ჩვენი კორესპოდენტი, ისეთ პირობებს უქმნიან, რომ სიონის ბუნებრივით უკან იხევენ, ხალხი რუსულ სკოლას მათ ხარჯზე ზრდიანო». ქართულ ენას მეფის დროსაც ზდევნიდნენ, მაგრამ «ყაზახიზე გაზეთი» ს გამოცემა ჩვენმა მტრებმა მაინც ვერ შესძლეს.

რატომ?
— იმიტომ, რომ ქართველი ერი დღეს უფრო უფლება აყრილია ვინემ წინეთ იყო.

ქართულ თეატრს არა ერთი და ორი გასაქირი უნახავს, მაგრამ ალექსი მესხიშვილი და ნინო ჩხეიძე, ვასო აბაშიძე და გუგია, პოლიციის გემოვნებაზე პიესებს არ სდგამდნენ.

ჩვენს თეატრს დღესაც დიდი ნიჭიერი არტისტები ყავს. გ. ანჯაფარიძით, სოფ. ვაჩნაძით, უშანგი ჩხეიძით, აკ. ხორავათი და სხვათი ყველა ერის სცენას შეუძლია თავი ისახლოს. მაგრამ რა ქნას ნიჟმა, როცა ჩეკის აგენტი დუდუჩავა და სხვა თავზე ადგია და ჩეკაში შემდგარ რეპერტუარს უღვენს.

შენ ეგებ არც იცი მკითხველო, და ეს კი ფაქტია: აწ განსვენებული კოლე მარჯანიშვილი 3 წელი ევედრა ბოლშევიკურ ხელისუფლებას, მიეცა მისთვის ერთხელ მაინც «ღალატის» დადგმის უფლება, მაგრამ ნიჭიერი ხელოვანი ისე ჩავიდა საფლავში, რომ თავისი ნაშრომის სცენაზე დანახვა არ აღირსეს.

მეფის ხანაში გვდევნიდნენ, მაგრამ ასე მაინც არა. «ღალატსაც» სდგამდნენ და «სამშობლოსაც».

სჩანს ბოლშევიკ სულეიმანებს მეფის სატრაპებზე უფრო ეშინიათ სიონის ზარების.

ტყვილია, შიში ვერ იხსნის სიკვდილსა და სიონის ზარები, თავის დროზე მაინც დარეკენ!

და ამის თავებია ის, რომ წარსულში ქართველ ერს ბევრი უბედურება უნახავს, მაგრამ იმედი მაინც არ დაუქარგავს, თავის თავზე უარი არ უთქვამს და სხვას არ მონებია.

«მტერო, დამჩაგრე, არ ვსტირი, ტირილი დიაცთ წესია, ბევრჯერ ვყოფილვარ მაგ დღეში, მაგრამ არ დამიკვნესია. დამაცა, ერთი გავმართო ჩახმანი ცეცხლის მკვესია, სულ ერთათ მოგამკვევინო, რაც ჩვენზე დაგითესია» (ხალხური).

ასეთი არის ქართველი ერის ისტორიული პასუხი მტრისადმი და შეხედულება მომავალზე.

და დღეს, 26 მაისის 15 წლის თავზე, ქართველი ერის ეს შეხედულება ჩვენც უნდა გავიზიაროთ.



ავხაზეთი უახლოეს წარსულში და ღმს

(წერილი საქართველოდან)

IV. 1931 წლის გლეხთა მოძრაობა აფხაზეთში.

ავხაზი გლეხის თავისუფალ ბუნებას მძლავრად დაეტაკა ბოლშევიკების ორი კანონი: 1) პოლიციური კოლექტივიზაციის გატარება და 2) ხორცის და სხვა პროდუქტების დამზადების გეგმების რეალიზაცია. აქ არ არის ლაპარაკი პოლიციური კოლექტივიზაციის გატარების ხერხებზე, ამის შესახებ ბევრი თქმულა და მას ყველა იცნობს, ვინც საბჭოთა ეკონომიურ სისტემაში იხედება. ხორცის დამზადებამ აქ ისეთივე უკმყოფილება გამოიწვია, როგორც კოლექტივიზაციამ. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ თამბაქოს წალბა დაიწყო უმნიშვნელო ფასებში, გლეხებმა მესაქონლეობისაკენ იბრუნეს პირი. მსხვილი მესაქონლეობა ბოლშევიზმის პირობებში რომ შეუძლებელი იყო, ეს ყველამ იცოდა, მაგრამ ორ სამ ძროხას თუ სახელმწიფო არ დაანებებდა, ეს არავინ იცოდა. და აი კოლექტივიზაციის გატარების ცდა და ხორცის დამზადება ერთად დაატყდა თავს აფხაზელ გლეხს. იგი ვერ ურიგდებოდა იმ გარემოებას, რომ ძროხას, რომელშიდაც ოთხას მანეთს აიღებდა ბაზარზე, 40 მანეთად ართმევდნ. დიდი ხარის ტყავს—4 მან. ღებულობდნ, ერთ წულას კი 10-12 მან. ნაკლებ არ აძლევდნ. ერთი პალტოს შესაძენად ერთი დიდი ხარი საკმარისი არ არის და აღარ იცის, რად უნდა მისცეს მთავრობას ასე მუქთად თავისი რაწრომი.

ჯერ კიდევ ხორცის დამზადების პირველი კვარტალი არ დამთავრებულ იყო, რომ აფხაზეთის სოფლებიდან მორეკილ საქონლით ივსებოდა მიმღები პუნქტის ეზოები, აქ ხვდებოდნ აფხაზები ერთმანეთს და უზიარებდნ ერთიმეორეს თავის მწუხარებას. პირდაპირი გადასახადები, ცხოვრების კარჩაკეტილი პირობები, თამბაქოს, ღვინის და პარკის სრულიად უმნიშვნელო ფასში წალბა და ბოლოს კოლექტივიზაციის ცდა შეერთებული ხორცის დამზადებასთან ერთად გლეხში ანთებს წინააღმდეგობის ცეცხლს და ეძებს გამოსავალს. ასეთ გამოსავალად გლეხობამ აირჩია ძველი წესი პროტესტის გამო. ცხადების, ძველად, მამაპაპთაგან წმიდა ადგილად ცნობილი ადგილები მოიგონეს და იქ შეიკრიბენ დიდი და პატარა. მათთან არიან პარტიული გლეხებიც, რადგან კოლექტივიზაცია და ხორცის დამზადება გადასახადებთან ერთად მათაც ეხებათ.

ყველაზე დიდი ყრილობა ხდება აჭანდარაში (გუდ. რაიონი). სოფლად გლეხი არ დარჩენილა, რომ ამ ყრილობაზე არ წასულიყოს. აქ ხალხი პირველად არ ყოფილა შეიარაღებული, რადგან არ იცოდნ, თუ უიარაღო ხალხზე ხელისუფლება შეიარაღებულ ჩეკისტებს მიუშვებდა. მათ არ იცოდნ ის უბრალო ამბავი, რომ ბოლშევიკები სრულიად ერთნაირად უყურებენ და აფასებენ ყოველგვარ პროტესტს, თუ გინდ ეს სიჩუმით იქნეს გამოხატული. ძველებური წესით აქ ფიცს სდებენ დაჩოქილი გლე-

ხობა იმაში, რომ მთავრობას არ მისცემენ ძროხას და ხარს, არ დაანებებენ მათი ოჯახების დაშლას და კოლექტივიზში შერეკას და სხვა. ასეთივე მოთხოვნის ურდგენენ მთავრობას მოხუცი და საპატიო ხალხის პირით. ხელისუფლება პასუხად გზავნის კრებებთან შეიარაღებულ ჩეკისტების რაზმს, რომელთა მუქარას სრულიად მშვიდად შეხვდა უიარაღო ხალხი, დარწმუნებული იმაში, რომ არ ესროდნ. მთავრობა პასუხს არ იძლეოდა და ჯარიც ჯერ სროლის მუქარას არ ასრულებდა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხელისუფლების ეს «დიდ სულოვნება» სერი იყო, რომ დრო მოეგო და თბილისიდან ჩამოესწროთ ზაკჩეკის რაზმებს და ქალაქები გაემარებიათ. უკანასკნელად გლეხთა ყრილობები საკითხს უყენებენ მთავრობას ასე: ან მოგვეცი აქ ცხოვრების საშვალბა, ან მოგვეცი გზა ოსმალეთში გადასასვლელათო. რამდენიმე დღეში დამხმარე რაზმებიც ჩამოვიდნ და გამაგრეს სოხუმი, გუდაუთი და ვაგრა. განსაკუთრებით გამაგრებული იყო გუდაუთი. ამის შემდეგ ფარდა აეხადა მთავრობის განძრახვებს და ხალხის დაშლა-დაფანტვა დაიწყო ტყვისმფრქვევლებით. ამას ხალხმაც უპასუხა და ეს პატარა დემონსტრაცია კუთხურ აჯანყებათ იქცა, რომელსაც არავინ მეთაურობდა გარდა ხალხის გაქვირებისა და ხელისუფლების უსამართლობისა.

შეიქნა გარკვეული პოზიციები. მოკლეს რამდენიმე ჩეკისტი, დაჭრილები ჩამოყავდნ გუდაუთის საავადმყოფოში, საიდგანაც ჩქარა სოხუმი გადაყავდათ, რადგან ფიქრობდნ, რომ პარტიზანები ჩქარა გუდაუთს აიღებნ. პარტიზანებს არ ქონდათ ბრძოლის ხელმძღვანელობის ცენტრი, მოქმედებდნ ერთსა და იმავე დროს, რამდენიმე ადგილას. ყველა ამის გამო ვერ შესძლეს პარტიზანებმა ის, რისაც ხელისუფლებას ეშინოდა—ე. ი. ქალაქების აღება. ჯარმა ვერ დაშალა პარტიზანების რაზმები ბრძოლით, რადგან სოფლად დარჩენილი ქალები და მოხუცები ყველა ხელს უწყობდნ მათ. მაშინ მთავრობამ მიმართა მისთვის ჩვეულ ხერხს: განდგომილებთან გაიგზავნა მოსალაპარაკებლად ავტორიტეტული პირები. ყველაზე თვალსაჩინო შუამავალი დენილებსა და ხელისუფლებას შორის იყო ზალატინცკი-ოტირბა, რომელიც წინა თავებში ვახსენეთ. იგი მთავრობასთან ახლოს იდგა ნათესაური კავშირით; ხალხთან კი უფრო სულიერი განწყობილებით. იგი ყველაზე მდიდარი იყო აფხაზებს შორის, მაგრამ კოლექტივიზაცია და დამზადებები მას ვერაფერს აკლებდა, რადგან «ყოვლად შემძლე» ლაკობას მოწერილობით იგი ყოველგვარი გადასახადებისა და ეკონომიური დავალბებისაგან თავისუფლდებოდა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ოტირბა აჯანყებულებებთან პრაქტიკულად არ იდგა. იგი როგორც მდიდარი და გავლენიანი აფხაზი ავტორიტეტით სარგებლობდა. მას აფხაზები იცნობდნ და პატივს სცემდნ. ამიტომ მის შუამდგომლობას უშედეგოთ არ

ჩაუვლია. პარტიზანები მიდიოდნენ ხელისუფლებასთან თავიანთი ნებით. ამ გარემოებას ხელი შეუწყობდა იმ ფაქტმა, რომ გაქცეულ აფხაზებს არიგებდნენ არალეგალური პოლიტიკური ორგანიზაციები და ურჩედნენ, რომ ამ უაზრო მსხვერპლისათვის, რამდენადაცკი შეიძლებოდა გვერდი აეხვიათ, რადგან ასეთი სეპარატული გამოსვლით არაფერი გაკეთდებოდა. მართლაც ბევრი გამოცხადდა მთავრობასთან ოტირბას და სხვების საშვალებით. ვინც არ გამოცხადდა, მათი ოჯახები თითქმის გაანადგურეს, საქონელი დამზადებაში გარეკეს, სახლები დაარღვიეს და ოჯახში დარჩენილი წევრები დააპატიმრეს. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ყველაფერი მიწყნარდა, მერიგებული გამოსვლების მონაწილენი დააპატიმრეს. მათგან ზოგი გადაასახლეს, ზოგნი ადგილობრივ ციხეში სხედან და ზოგნიც გამოუშვეს. ბევრ მათგანს მიესაჯა იძულებითი მუშაობა რამდენიმე თვით.

აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება: ამ მოძრაობას არ მოყვლია ისეთი საშინელი შედეგი, როგორც მოჰყვა ადერბეიჯანის აჯანყებას, ან ბორჩლოს მოძრაობას უკანასკნელ ხანებში. აქ არ მძიმდარა ამ ნიადაგზე დახვრეტები. მართალია მაშინდელი საქართველოს ბოლშევიკური ცეკას მდივანი თხოულობდა დაეხვრეტათ მოწინავე პარტიზანები, მაგრამ ლაკობა ვერ დაითანხმა. ლაკობამ სასტიკად გაილაშქრა მამულიას წინააღმდეგ და შეებრძოლა იმ ჩეკისტებს, რომელთაც ჩამოიტანეს სოფლებიდან იმ გლეხების გვამები, რომლებიც ოჯახის გატარცვას არ ანებებდნენ ჩეკის რაზმებს. ამას ლაკობა აკეთებდა ავტორიტეტისათვის. ამ მოძრაობის შემდეგ მის ბატონობას საფუძველი გამცლილი ქონდა და მოსალოდნელი იყო იგი ტერორის მსხვერპლიც გამხდარიყო, რადგან პარტიზანები ბოლშევიზმის სისაძაგლეს ლაკობას პიროვნებაში უფრო ხედავდნენ, ვინემ სისტემაში. აი ამ ქესტით,—დასახვრეტი ხალხის გადასახლებით, გადასახლებელი ხალხის ადგილობრივ ციხეებში მომწყვდევეთ და ბევრის განთავისუფლებით—მან თავისი პოზიციები ისევ გაიმაგრა. საფრთხე მოელოდა მას მხოლოდ ცეკას მდივანისაგან, რომელმაც იგი აფხაზეთიდან სრულიად გადანიყვანა თბილისში, რომ იქ გასწორებოდა, მაგრამ, როგორც ყველას მოგვსენებათ, მამულიამ თურმე რაღაც «შეცდომა განიმეორა» და განიცადა მარცხი. საქართველოს ბოლშევიკების ცეკაში ახალი შემადგენლობა იქნა გაყვანილი, მაგრამ მათაც თურმე «შეცდომის» ლიკვიდაცია ვერ უზრუნველყვეს და ახლა ამ შეცდომებს მეოთხე ცეკა იმეორებს ბერიას მეთაურობით. მამულიას კრახმა ლაკობა თავის ადგილას დააბრუნა და ზოგიერთების თვალში თითქოს კიდევ გათვრდა, რადგან ბევრს სიცოცხლე შეარჩინა. მაგრამ ვინც ლაკობას იცნობს და მის ხრიკებს, მისთვის ნათელია, რომ ეს «სიცოცხლის შენარჩუნება» და ლაკობას «ლიბერალობა» გამწვეველი იყო პარტიზანების მხრივ ტერორის შიშით და თავის ბატონობის შენარჩუნების სურვილით.

გაქცეულ პარტიზანებს ხალხი მალავს. ისინი არ ეწვეიან ავანაჯობას, არ ახდენენ ტერორისტულ აქ-

ტებს და არ იწვევენ უმიზნო ექსცესებს, რაც მათ ვინიერულობას ამტკიცებს. ხალხი მათ ნდობით და იმედით უყურებს. იმდენათ ხელს უწყობს ხალხი პარტიზანებს, რომ ხელისუფლებამ უბრალო თავდასხმაც კი ვერ შესძლო მათზე. სამაგიეროთ ჯვარი იყარეს ოჯახებზე. დაარბიეს და დაწიოკეს პარტიზანების ოჯახები და ამით დამთავრებულად ჩასვალეს ხალხთან ბრძოლა.

ასე დამთავრდა აფხაზი გლეხობის 1931 წლის ბრძოლა დამოუკიდებლობის და თავისუფლებისათვის. ეს ბრძოლა შევა ქართველი ხალხის მიერ ბოლშევიზმის და ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში, როგორც უშედეგო, მაგრამ გმირული და აზრიანი ბრძოლის ფურცლები.

აფხაზეთი. 1932 წ. გენ.



**გადასინჯვის საკითხი
საქართველოს კონსტიტუციის კაპტში**

მე უკვე მქონდა შემთხვევა მიმექცია ყურადღება, რომ ძირითადი განსხვავება სახელოთა (კომპეტენციების) გადაცემასა და სახელოთა განაწილებას შორის. ეს ორი დამოუკიდებელი მცნებაა, ერთი მეორეში არ უნდა ავრიოთ. ხოლო ისინი ამავე დროს დაკავშირებულნი არიან, რადგან ერთი მეორეს ბრძანებლობს. სახელოთა განაწილება ფართოდ არის დამოკიდებული სახელოთა გადაცემისაგან და ხელისუფლება, რომელიც აღუჭურვილია ამის უფლებით, სახელოთა განაწილების ბატონია. ყველა ეს საკითხი რთულია და დაწვრილებითს განხილვას ითხოვენ.

ჩვენ ვიცით, თუ რაა სახელოთა განაწილება: ესაა სახელმწიფო ფუნქციათა განაწილება ორს ხელისუფლებას შორის ისე, როგორც ეს გარჩეულია სინამდვილეში. ჩვენ ვნახეთ უკვე, რომ ეს განაწილება ბევრგან არსებობს, მაგრამ იგი განსაკუთრებული მნიშვნელობის როლს თამაშობს ფედერალიზმის სფეროში. ფედერალური კონსტიტუცია—იქნება ეს სახელმწიფოთა კონფედერაციაში თუ ფედერალურ სახელმწიფოში—თვით აწესებს თანახმად განსახდურულ პრინციპებისა სახელოთა განაწილებას ცენტრალურსა და ადგილობრივ მართველობათა შორის. ეს განაწილება მეტ წილად ხდება იმ გვარად, რომ ერთი ხელისუფლების სახელო ჩამოთვლილია შემოფარგლულად. და დანარჩენი რჩება მეორეს. იტყვიან ამ შემთხვევაში, რომ სახელო პრინციპიალურად უკანასკნელისაა, ხოლო პირველს ეკუთვნის განსაკუთრებული.

უნდა აღვნიშნოთ აქვე, რომ ესეთი განწესება უძრავი არაა. იგი შეიძლება შეიცვალოს ორი გზით. ერთია ფორმალური; გათვალისწინებული თვით ფედერალური კონსტიტუციით, ვინაიდან ყოველი გადასინჯვა კონსტიტუციის ბოლოს და ბოლოს თავდება სახელოთა წინანდელ განაწილების შეცვლით. უფლებები მიემატება ცენტრალურს ხელისუფლებას



ბას და შეუმცირდება ადგილობრივს, ან პირიქით მიემატება უკანასკნელს და შეეზღუდება პირველს. ამგვარად სუვერენობა იმ ორგანოს ხელშია, რომელსაც დაკისრებული აქვს გადასინჯვის უფლება.

მაგრამ ამ ფორმალური გადასინჯვის გვერდით არსებობს მეორე, ნაკლებ თვალსაჩინო, ხოლო არა ნაკლებ მნიშვნელოვანი. ესაა აგრე ვსთქვათ მატერი-ალური გადასინჯვა, როცა კონსტიტუცია ეგუება გარემოებას და რეალურ საჭიროებას და ამისდაგვარად იცვლება. განვიხილოთ ცალცალკე ეს ორივე მოვლენა.

1. კავკასიის პაქტის მეთექვსმეტე მუხლი ასე განსაზღვრავს პაქტის ფორმალურ გადასინჯვას: «ამ პაქტის არც ერთი მუხლი არ შეიძლება შეიცვალოს, თუ ეს არ იქნა მიღებული ერთხმად სახელმწიფოთა საბჭოს მიერ და დამტკიცებული კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოების საკანონმდებლო დაწესებულების მიერ».

ამ დებულებას უმაღლესი მნიშვნელობა აქვს. იგი იწვევს რამდენსამე შენიშვნას.

1) ყოვლის უწინარეს საკმაოდ არ არკვევს ორგანოს, რომელსაც ეკისრება გადასინჯვა. საჭირო არისო, გვეუბნება, თანხმობა სახელმწიფოთა საბჭოსი და შემავალ სახელმწიფოების კანონმდებლობათა რატიფიკაცია. მაშასადამე საქმეში უნდა ჩაერიონ ცენტრალური ხელისუფლება და ადგილობრივი მართველობანი. ცხადია გადასინჯვა არც ერთის კომპეტენციაა და არც მეორისი. მაშ რომელი იურიდიული რიგის სახელს შეადგენს გადასინჯვა? იმ მესამე რიგის, რომელშიაც შედიან ცენტრალური ხელისუფლება და შემავალ სახელმწიფოთა ხელისუფლებანი და რის შესახებ ჩვენ ვილაპარაკეთ წინა წერილში. ისე როგორც საკონფედერაციო სასამართლო არაა განსაკუთრებული ორგანო არც თვით კონფედერაციისა, არც ცალკე სახელმწიფოების, აგრეთვე პაქტის გადასინჯვა არ ეკუთვნის არც კონფედერაციას, არც შემავალ სახელმწიფოებს, არამედ იგი ჰკულისხმობს მათ ინტიმურ თანამშრომლობას. აი სწორედ ეს თანამშრომლობაა ის მესამე მაღალი ერთეული, რომლის უარყოფა დღეს არავის შეუძლია. შეიძლება გვითხრან, რომ ამ მესამე ერთეულს საკუთარი ორგანიზაცია უნდა ჰქონდეს თავის ნების გამოსახატავად და თავის ინტერესების დასაცავად. ეს შენიშვნა მნიშვნელოვანი არაა: ერთი, მესამე უმაღლეს რიგს აქვს ასე თუ ისე საკუთარი ორგანო — საკონფედერაციო სასამართლო, მეორე მას შეუძლია თავის არსებობის გამოსაცხადებლად, თავის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ნაწილობრივ ერთეულების უკვე არსებული ორგანოები. ასე ხდებოდა საერთაშორისო ერთეულში ნაციონალიზმის დაარსებამდე. სარგებლობდნენ სახელმწიფოების ორგანოებს. ამგვარადვე კავკასიის პაქტში უმაღლესი ერთეული სარგებლობს შემავალ სახელმწიფოების ორგანოებს. ამგვარი გაორება ფუნქციებისა ერთი და იმავე ორგანოსი საკმაოდ ცნობილია დღევანდელ საჯარო უფლების მეცნიერებაში.

2) მაგრამ თავი გავანებოთ ამ წმინდა თეორიულ

შენიშვნას. კავკასიის პაქტი იწვევს მეორე, არსებითად პრაქტიკულს შენიშვნას. მისი დებულება მეტისმეტად მკაცრია. იგი წინ უყენებს გადასინჯვას პირდაპირ დაუძლეველ დაბრკოლებას. სახელმწიფოთა საბჭოს ერთხმობა ადვილი საქმე არაა და მეორე ამის დადასტურება სახელმწიფოების საკანონმდებლო ორგანოების მიერ იმდენ სიძნელეს ჰქმნის, რომ თითქმის თავი უნდა გავანებოთ გადასინჯვას. თვით ნაციონალიზმის პაქტში, სადაც წევრ სახელმწიფოთა სუვერენობა ნაკლებადაა შეზღუდული, ვიდრე კავკასიის პაქტში, მოითხოვს გადასინჯვისათვის კრების წევრთა უბრალო უმრავლესობას. მართალია ეს მუხლი შერბილებულია მეორე პარაგრაფით, რომელიც გასვლის უფლებას აძლევს წევრს, თუ მიღებულ შესწორების თანახმა არაა. მაგრამ უდავოა, რომ ესეთი უფლება იშვიათად იქნება გამოყენებული. შეიძლებოდა კავკასიის პაქტში ამის მსგავსის რისიმე შეტანა. დღეს კი პაქტის მეთექვსმეტე მუხლს შეუძლია არა თუ დაბრკოლება კონფედერაციის გონიერი განვითარებისა, არამედ მისი სრული დამსხვრევა. მე უკვე აღვნიშნე რამდენჯერმე და კვლავ ვამბობ, რომ ეს განვითარება აუცილებელია, თუ კავკასიის სახელმწიფოთა შეერთება წარმოადგენს ცხოველ და ძლიერს რეალობას, და არა ლანდს, რომლის უკან აღარაფერია.

3) საჭირო იყო აგრეთვე პაქტს განესხვავებია მთლიანი და ნაწილობრივი გადასინჯვა. მაშინ გასაგები იქნებოდა მე-16 მუხლის სიმკაცრე საერთო გადასინჯვისათვის, რომლისთვის მართლაც საჭირო იქნებოდა ყველა წევრის თანხმობა. რაც შეეხება ნაწილობრივ გადასინჯვას, ერთის ან რამდენიმე მუხლის შესწორებას მხოლოდ, საჭირო იყო უფრო მარტივი წესი.

11. რამდენად მკაცრია კავკასიის პაქტი ფორმალური გადასინჯვის შესახებ. იმდენად მეტი მნიშვნელობა ეძლევა ისეთს გადასინჯვას, რომელსაც იწვევს ცხოვრების რეალურ საჭიროებათა დაბეჯითებითი მოთხოვნა. ყოველმა საღმა კონსტიტუციამ ანგარიში უნდა გაუწიოს იმ პოლიტიკური ერთეულის ნამდვილ გარემოებებს და პირობებს, რომლის წარსამართავად მოწოდებულია. მაგრამ კონსტიტუცია ამავე დროს არის ნაყოფი განსაზღვრულ თეორიულ შეხედულობათა. ამგვარად კონსტიტუცია არის შედეგი იდეების და ფაქტების კომპრომისისა, ხშირად ძლიერ სამწუხაროსი. ამისათვის საჭიროა იგი შეფარდოს ცხოვრებას, მიიღოს უფრო შეგუებული ფორმები. ამ შეფარდებას ყველაზე უფრო ახერხებს მოკლე კონსტიტუცია, რომელიც მთავარ ხაზებს აღნიშნავს და დეტალებს უტოვებს ტრადიციას, საკონსტიტუციო ჩვეულებას. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ორმაგი კონსტიტუცია — ერთი დაწერილი და მეორე — ჩვეულებითი, რომელიც შედგება სხვადასხვა სამართლებრივ დაწესებულებათა გავლენით და შეავსებს პირველს. ხშირად მოხდება, რომ ჩვეულებითი კონსტიტუცია უპირატესობას მოიპოვებს. ამის მაგალითი ბევრია: ვაიხინენოთ საფრანგეთის კონსტიტუცია 1845 წ. და განსაკუთრებით შეერთებულ შტატების 1786 წ.

ეს საქმე მით უფრო ადვილად განსახორციელებელია, რომ არსებობს გარკვეული ორგანო, ამის წარსამართლად და გასაძლოდ. ასეთი ორგანო კავკასიის პაქტშიცაა—ესაა საკონფედერაციო სასამართლო. ვნახოთ, როგორ და რა წესით შეუძლია ამის შესრულება საკონფედერაციო სასამართლოს.

ამას შეასრულებს იგი უპირველესად იმ კონტროლით, რომელსაც გაუწევს ცენტრალურ თუ ადგილობრივ ხელისუფლებათა გადაწყვეტილების კონსტიტუციონალიზმს. სასამართლომ უნდა შეამოწმოს, რამდენად გადაწყვეტილება შეეფერება კონსტიტუციით მინიჭებულ კონპეტენციას. კავკასიის პაქტი 1—8 მუხლებში არკვევს ცენტრალურ და შემავალ სახელმწიფოების ხელისუფლებათა კომპეტენციას. თუ გვინდა, რომ ეს განაწილება პატივცემულ იქნეს, საჭიროა ისეთი დამოუკიდებელი ორგანოს არსებობა, რომელიც ამას თვალყურს ადევნებს. კავკასიის პაქტმა საამისოდ დააწესა საკონფედერაციო სასამართლო, რომელსაც შეუძლია ამისთვის დაეყრდნოს მეცამეტე მუხლის მეორე პარაგრაფს: «საკონფედერაციო სასამართლო განიხილავს ყოველ დავას საკონფედერაციო ხელისუფლებასა და კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა შორის და აგრეთვე ამ სახელმწიფოთა დავას ერთმანეთს შორის».

«ყოველ დავას», ამბობს დებულება; ცხადია, აქ ნაგულისხმევია ის დავაც, რომელიც ეხება კომპეტენციის საკითხებს. ხოლო ამ საკითხების განხილვისთვის სასამართლომ უნდა შეამოწმოს. თუ რამდენად კონსტიტუციონალურია ამა თუ იმ ორგანოს გადაწყვეტილება. ამავე დროს სასამართლო ვალდებულია განმარტოს, ინტერპრეტაცია მისცეს პაქტს კონკრეტულ დებულებებს. და სწორედ ამგვარი მუშაობით, ამ ინტერპრეტაციით საკონფედერაციო სასამართლო პაქტს შეუფარდებს ცხოვრებას და შეავსებს მისი გადასინჯვის სიძნელის ნაკლს.

თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს გარემოება, ამისთვის საკმაოა გაეიხსენოთ შეერთებულ შტატების ფედერალურ სასამართლოს მუშაობის დიდი შედეგები. ამ სახელმწიფოს კონსტიტუციის შესასწავლად საუკეთესო საშუალებაა ხსენებულ სასამართლოს დადგენილებათა შესწავლა. ესევე შეიძლება ითქვას კავკასიის პაქტისთვის: რა ვუყოთ, რომ საკონფედერაციო სასამართლოს მოქმედება შემოფარგლულია. მაინც იგი გაუწევს დაუფასებელს სამსახურს პაქტის აუცილებელს განვითარებას.

ქ ა რ თ უ ლ ი ი დ ე ა

ადამიანის ცხოვრებას აქვს თავისი აზრი, თავისი იდეა. ის დასკვნაა ცხოვრებაში განაცად მოვლენათა, ადამიანების სურვილებისა და დასახულ მიზნებისა. ზოგისთვის ეს ცხოვრების აზრი შეუგნებელია და გაუთვალისწინებელი. ზოგს კიდევ გონებრივი საზომით წინასწარ გარკვეული აქვს თავისი ძალა და შესაძლებლობანი და ამის მიხედვით შემუშავებული ცხოვრების გეგმა და მიზანი. ამ შემთხვევაში ადა-

მიანის ძალა გონივრულად იხარჯება და დასახული მიზნებიც ადვილად ხორციელდება.

ეროვნული არის უფრო რთული მოვლენაა, ვიდრე პიროვნული. მისი თვისებები, შესაძლებლობანი და ცხოვრების პირობებიც ასევე რთულ მოვლენათაგან შესდგება. და თუ ხშირად ადამიანი ვერ ახერხებს თავისი ცხოვრების შინაარსის სწორად გაგებას, მით უფრო საძნელოა მისთვის რთული ეროვნული ცხოვრების ბუნების გათვალისწინება. ამას მხოლოდ რჩეულნი ახერხებენ, გონებით ამაღლებულნი, ეროვნული ცხოვრების რთულ მოვლენათა საღი გაგებით აღჭურვილნი.

როდესაც ვრს ასეთები მრავლად ჰყავს, ეროვნული ცხოვრება სწორი გეზით მიიმართება, ძლიერებისა და აყვავების ხანაში შედის.

ყველა ერთა ისტორია ამას გვასწავლის და ჩვენი მათიანეც ამას გვეუბნება. გორგასლანის, დავით აღმაშენებელისა და თამარის დროის საქართველოს მეთაურები უთუოდ იყვნენ გარკვეული ჩვენი ქვეყნის შინაურსა და საგარეო ვითარებაში, მათ უთუოდ კარგად ჰქონდათ შეგნებული ჩვენი ერის ავი და კარგი, მისი თვისებების სუსტი და ძლიერი მხარეები. ამის მიხედვით მათ მიერ დასახული მიზნები უფრო შეთანხმებული იყვნენ ქართველი ერის ბუნებას და ამის გამო ადვილადაც ხორციელდებოდნენ. ჩვენ ვრს მრავალჯერ ვანუცდითა ამალეებისა და დაცემის ხანა, ჩვენს გარეშე მყოფ პირობებს ამაში ხშირად დიდი წილი ედვა, მაგრამ უმთავრესი მიიწც იყო ეს ჩვენი საკუთარ ძალთა და შესაძლებლობათა ცუდათ თუ კარგათ გამოყენება.

როგორც პატარა ოჯახის მეთაურს გათვალისწინებული აქვს ყველა ოჯახის წევრთა ძალა, ნიჭი და უნარი და ამის მიხედვით იმუშავებს საოჯახო საქმიანობის გეგმას, ასევეა ეროვნული ოჯახის ხელმძღვანელობაც. რასაკვირველია. ის უფრო რთულია, ამ ეროვნული სხეულის სულიერ და სხეულბრივ ძალთა სწორი გაგება და ანგარიში. ისტორიის გზაზე ერის მიერ შეთვისებული ხასიათის თვისებები, ზნე და ჩვეულებანი, თანამედროვე ეროვნული ცხოვრების ყოველი დარგი, მისი სულიერი, სხეულბრივი და ქონებრივი ძალები ერთს ჯამში უნდა მოიქცეს და ყოველი ამის მიხედვით უნდა მუშავდებოდეს ეროვნული პოლიტიკის მახლობელი და შორეული ამოცანები, მისი პატარა და დიდი მიზნები.

ქართული პოლიტიკის ყველაზე სუსტი ადგილი აქ იმყოფება. ის კიდევ ნავარჯიშებია ათეულ წელთა მანძილზე შინა ცხოვრების ეკონომიურ თუ პოლიტიკურ წყობის საკითხების დამუშავებაში. მას მოეპოვება ამ საგანზე თავის გეგმები და იდეები, ზოგი სხვათა ცხოვრების მაგალითებიდან გადაღებული. ზოგი განწყნებულ აზროვნებით შეთხზული და ზოგი კიდევ ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული. მაგრამ მას ნაკლებად აქვს დამუშავებული ყველა ამ პატარა იდეათა თავმოყრელი დიდი იდეა, საერთო საქართველოს ბედის იდეა, მისი გარდაუვალი მიზანი, ყველა პირობებთან შერეგებული და შეთანხმებული. მართალია ჩვენ გვაქვს 26 მაისის იდეა,



ეს ეროვნული სუვერენობის იდეა, მაგრამ ის ყველა ერს აქვს, ამ ერთა თავისუფლებისა და ეროვნულ თვითგამორკვევის ხანაში. ეროვნებანი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც პიროვნებანი, თავის სულიერი და ხორციელი თვისებებით. ასევე განსხვავდებიან მათი ცხოვრების საშინაო და საგარეო პირობები. ამის გამო ჩვენი დამოუკიდებლობის იდეას, საკუთრივ ქართული ხორცის შესხმა სჭირია და ქართული სულის შთაბერვა.

შინა წყობის პატარა იდეებს აღარ უნდა ეწირებოდეს ჩვენი ძალები, სანამ ჩვენი ეროვნული ცხოვრების ასპარეზს არ დაუბრუნდებით, მთელი ჩვენი ძალა და გულის ყური ამ ეროვნული თავისუფლების იდეის გარშემო უნდა იყრიდეს თავს. მას უნდა ვარკვევდეთ, მისთვის უნდა ვხმარობდეთ ყველა ჩვენი ძალებსა და შესაძლებლობებს, ყველა გზები უნდა გვქონდეს შესწავლილი და გაკაფული, ყველა შესაძლებლობანი ვათვალისწინებული, ყველა მტერი და მოყვარე გაცნობილი და ნანაგარიშვევი. მართალია დღეს ჩვენი ერი წაქცეულია, მაგრამ ვინ იცის, იქნებ სულ მალე ვიხილოთ დრო, როდესაც წინანი უკან მოექცევიან და უკანანი წინ.

კაცობრიობას არასოდეს უხილავს მსგავსი იმისა, რასაც ამ ქამად განიცდის. ჰუნების შემოსევა, გერმანელ ტომების მიერ რომის იმპერიის დამხობა, არაბთა, ჩინგიზ-ყანის და თემურლენგის ტალღები და ნაპალეონის ხანა მოსაგონიც არ არის იმასთან, რასაც ვანიცდის ამ ქამად კაცობრიობა. მთელი მსოფლიოს გასწვრივ, ამერიკასა თუ აზიაში, ევროპასა თუ აფრიკაში ბობოქრობენ ბუნებრივ კალაბრტიდან ამოვარდნილი ხალხთა ცხოვრების ტალღები. არავინ უწყის, როდის გასკდება მშვიდობიანობის დაუბუქი რიდე, მას რომ ჰფარავს, და როდის დაიწყება გადამწყვეტი სამკედრო-სასიცოცხლო შეჯახება შეურიგებლად დაპირდაპირებულ ძალებისა.

აქ თავმოყრილია მსოფლიო კაპიტალიზმის და მსოფლიო კომუნისმის შეურიგებელი დაპირდაპირება. რასული მტრობა და აღმოსავლეთისა და დასავლეთის ძველი, და ამ ხანად გაძლიერებული დავა. არავინ იცის, როგორ აიშლება ყოველივე ეს, ცალცალკე თუ ერთმანეთში გადამშლელი და გადახლართული.

საქართველო მცირე რამ ძალაა ამ მსოფლიო ოროტრიალში თავის სივრცით და რიცხვით. მაგრამ თავის მატრიანეს მანძილზე მას მრავალჯერ უთამაშნია გაცილებით მეტი როლი, ვიდრე ეს მის სივრცეს და რიცხვს მოეთხოვებოდა. ასე ყოფილა ძველად და ასევე იყო მახლობელ ხანებში. მას მომავლისათვისაც არ დაუკარგავს ეს თვისებები და უნარი.

როგორც პლატონ იოსელიანმა სთქვა, საქართველომ ხუთი მსოფლიო იმპერია მოინელა. ჩვენ უნდა გვწამდეს ასევე მოუფა მეექვსე იმპერიასაც.

როგორი გზით არ უნდა მიიმართოს ეს მსოფლიო ქარტესილი, როგორი მიმართულებით არ უნდა აიშალოს ეს აბობოქრებული ზღვის ტილდები, ის ვერ ასცილდება იმ ქვეყნებს, რომელთაც გადა-

ჯაჭვულია საქართველოს მყობადი ბედი. ესაა რუსეთი, უკრაინა, თურქესტანი და კავკასია, ესაა მცირე აზია და შავი ზღვის ნაპირები. ფიზიკათ უნდა ვივით და მზად, მხნეობა გვმართებს და სიმტკიცე და თან სიფიზიკე და მოთმინება. ამ მსოფლიო ჭიდილში ბევრის დაკარგვა შეიძლება და ბევრის მოპოვებაც.

აღლ. ახათიანი.

ა ღ ღ ბ ო მ ა

1900-მა წელმა განვლო საქრისტიანო ცხოვრების ამ უდიდესი აქტის შემდგომ. თავისთავად ცხადია, რომ ეს თარიღი განსაკუთრებულად აღინიშნება მიმდინარე წელს (მაცხოვარი 33 წლისა «იგნო და დაეფლა»). ვატიკანმა ეს წელი «წმიდათ» გამოაცხადა. ხოლო მართლმადიდებელ ეკლესიის ზოგიერთ ნაწილებში ამავე წელს «მონანიების» სახელწოდება მიეცა იმ აზრით, რომ ბრწყინვალე დღის განსხვავებით ადამიანს მოაგონდეს თავისი მრავალი ნაკლი და უდიდებობა.

ხალხთა შორის ზოგიერთებს დიდი პატივი ხვდა წილად ღვთაებრივი სწავლება ეკლესიის დამაარსებელის უშუალო მოცუქულთაგან მოესმინათ და მიეღოთ, ხოლო რაზომი თვისებებით შემკულ უნდა ყოფილიყო ერი, ღვთისმშობლის წილხდომობა რომ ღირსებოდა: თქმულებით საქართველოში უნდა გადმოსულიყო საქადაგებლად თვით ყოვლადწმიდა, ხოლო ეს ფაქტიურად იტვირთა მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა და შემდგომ დაამთავრა კაპაპადოქიელმა ქალმა ნინომ, რისთვისაც ეკლესიამ მოციქულთა სწორის სახელი მიანიჭა.

ქრისტიანული სულის შთაბერვამ ქართველობა აღამალა კულტურულად და განაძლიერა ეროვნულად. ჩვენი ხალხის ღმერთშემოსილობა ყოველგან ცნობილი იყო. ხატთაბრძოლობის დროს ზღვაში ათონის მახლობლად შთაგდებულ ღვთისმშობლის ხატი არავის მიეკარა, ვიდრე ნაპირზე გაყვანილმა ქართველმა დაყუდებულმა ბერმა ხელნი არ განაპყრო მის მისაღებად. ივერიის ღვთისმშობლის ხატი დღესაც ასაინის მთაზეა ოდიგითრიის სახელწოდებით, ხოლო მისი ასლი ბერძნებმა გადმოუგზავნეს მოსკოვის პატრიარქ ნიკონს და დასვენებულ იქმნა კრემლის ერთერთ შესასვლელში (შემდეგ ივერიის ალაყაფად ცნობილი, ამ ქამად ეს სამლოცველო ბოლშევიკების მიერ დანგრეულია). ვინ არ იცის, რომ რუსეთში ქართული ხატის ეს პირი ყველაზე მეტად სავდერებელი საგანია.

იმ დროს, როცა მთელი საქრისტიანო ხალხები ორ მოპირდაპირ ბანაკად დაიყვნენ და ურთერთს წყვეტასა და კრულვას უთვლიდნენ, მხოლოდ საქართველო იდგა განზე უგუნური შფოთისაგან, ამიტომ იყო, რომ მისი წარმომადგენელი არბიტრის სახით იმპერატორი დუკას სასახლეში საქრისტიანო ჭეშმარიტების ელემენტებს ურკვევდა სქოლასტიურ აყალმაყალით დაბრმავებულ თეოლოგებს. ჩვენი ეკ-

ლესია დღესაც ამ უდიდესი სწავლულის—წმიდა გიორგი მთაწმიდელის—სულით მიიმაართება.

ესხატოლოგიური აღდგომა ქართველმა ერმა თავის პრაქტიკულ ცხოვრების დასაბამ თვისებათ მიიმჩნია: აღდგომით კპოებდა გამხნევენას ჭირში, კმაყოფილებას ლხინში. ერის ნებითი მოქმედებას სარჩულად აღდგომა ედო: როდესაც თავისუფლების ცისკარი აღინიშნა, «ქრისტე აღსდგა»-ო, ასე შეუძახა საბა-ბერმა ოთარ-ბეგს! ეროვნული შემკრებილობითი გონებაცა და მოქმედებაც აღდგომის მცნებით სულდგმულობდა. აღდგომა გონებას ანათებს, გრძნობას აფაქიზებს; თუ ეს არა ხდება, ქართველს უკვირს: «ავი კაცი აღდგომასაც ავიაო», ამბობს ის მაშინ. აღდგომა უბედურებაშიაც არ შესხვაფერდება, მისი გატება როდი შეიძლება: სააღდგომო ცისკარზე მდგომ ქართველ მეფე-დედოფალს—ამბობს ლეგენდა—მოასხენეს, რომ ბრძოლაში მათი ძე დაიღუპა და მოასვენესო. გვირგვინოსნებმა წარბიც არ შეინარეს და მთელი წირვა უძრავად მოისმინეს; ღვთისმსახურების დამთავრებისას შევიდნენ ოთახში, სადაც განგმირული ესვენა, გაშეშებულ ხელში წითელი კვერცხი ჩაუდეს და მიულოცეს: «ქრისტე აღსდგა!»...

დღეს უძრავად ასენია ბოროტი მტრისაგან ნაწამები ჩვენი მეუფე—საქართველო! ხლო იმ იმედით, რომ ამა ცხოვრების აღდგომა მისი განუყრელი შინაარსია, ნურც ჩვენ შეგვიპყრობს ჭმუნვა, პირიქით მეტი უნარით საქართველოს აღდგომის საქმის მსახურება გვმართებს...

ჩველ ტყისნადირების ღრიალს ჩააჩუმებს სიონის ზარის გუგუნნი და—გადასხვაფერებით რომ ვთქვათ იოანე დამასკელის სიტყვები—მაშინ ლამაზშემოსით მივეგებნეთ საქართველოსა, საფლავით გამომავალსა...

რ. ინგილო.

ძართული სეპცია ნაციონალიზმისთვის

7 მაისს პარიზში შესდგა კრება, რომელიც მოწვეულ იყო ნაციონალიზმის დამხმარე საზოგადოების ქართული სექციის მიერ. კრებას თავმჯდომარეობდა ქართული სექციის გამგეობის თავმჯდომარე ბ. ე. გეგეჭკორი. თავმჯდომარემ წარუძღვარა ბ. გეგეჭკორის მოხსენებას ვრცელი სიტყვა, დაახასიათა საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება და ის პირობები, რომელშიდაც იმყოფება საქართველოს ბრძოლის საქმე. ორატორს მტკიცედ სწამს, რომ ქართული პოლიტიკისათვის გარეშე პირობები გაცილებით უფრო ხელსაყრელი ხდება. ერთის მხრივ რუსეთის ვითარება, სადაც კომუნისტურმა მთავრობამ ამოსწურა და ამოშრიტა ყველა თავისი შესაძლებლობანი შინ და გარედ. მისი მსოფლიო რევოლუციის პოლიტიკა სასტიკად დამარცხდა დასავლეთში და აღმოსავლეთში. მან დაკარგა ინიციატივა და მხოლოდ თავს იცავს და მეტად ცუდათ. მისი შინაური აღმშენებლობანი, მისი ხუთწლელი და სხ. გეგმები სრულის კატასტროფით დასრულდა. ამის შედეგია ისე-

თი სიმშლილი, რომლის მსგავსი ჩინეთსაც არ უნდა ლავს. მას აღარ აქვს მიზანი, აღარ აქვს პრეპეტივა.

ამავე დროს საქართველოს პრობლემა საერთაშორისო პრობლემა იქცა. ჩვენ არ უნდა შეგვანინოს იმან, რომ დეკარტეტ ზოგიერთი პოზიციები, რაც აინსნება ერთგვარი გარდამავალი პოლიტიკური მოვლენებით და ანგარიშით. ამის ნაცვლად ჩვენი ეროვნული ბრძოლისათვის იხსნება ფართე ასპარეზი იმ საერთაშორისო ვითარებაში, სადაც ჩვენი ეროვნული პრობლემა შეიძლება დაუკავშიროთ ყველა ამ დიდს მსოფლიო საკითხებს.

სამწუხაროდ ჩვენ კიდევ ვგრძობთ გამწვავებულ პარტიულ ბრძოლას, მაგრამ საბედნიეროდ ეს მხოლოდ ემიგრაციაში ხდება. ჩვენ ვდავობთ ბრძოლის მეთოდებზე, მის გზებზე და განთავისუფლებულ საქართველოში სამოქმედო გეგმებზე. მაგრამ ერთი რამ მაინც უდავოა დღეს ჩვენთვის: მთავარი პოლიტიკური ხაზი ჩვენი ბრძოლისა ყველასათვის უდავოა. ესაა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობის აღდგენა. ამ დროის ქვეშ ბრძოლის მთელი საქართველო და მისი ემიგრაცია, და ეს თავდება ჩვენი საბოლოო გამარჯვებისა.

კრება ერთსულთვანი მოწონებით შეხვდა ბ. გეგეჭკორის სიტყვას.

ამის შემდეგ ბ. გ. გეგეჭკორმა წაიკითხა მოხსენება «ერთა ლიგა და საქართველოს საკითხი». მოკლეთ გადმოგვცემთ მის შინაარსს:

საქართველო განსაკუთრებულ პირობებშია და ამიტომ ჩვენ უნდა ვეძებთ ჩვენი გზები ქვეყნის განთავისუფლებისათვის. ამ გზების მოძებნა არც ისე ძნელია, როგორც ეს ბევრსა ჰგონია: იგი გაკაფულია თვით საქართველოს ისტორიით და უერთდება იმ დიდ შარა-გზას, რომლითაც მიდის მოწინავე კაცობრიობა.

ამ შარა-გზაზე პირველად დაინახავთ «ერთა ლიგას», რომლის ფრანტონზე აწერია: «უფლება და სამართალი». ეს პრინციპი ახალი არ არის. ახალია თვით ორგანიზაცია, რომელშიდაც ესლა შედის 57 სახელმწიფო და რომლის მიზანია დამაყაროს საერთაშორისო დანაწყობილება უფლებასა და სამართალზე. ცხადია, საქართველო ამ დაწესებულებას გვერდს ვერ აუხვევს. ვინაიდან ექვს გარეშე მისი უფლება დამოუკიდებლათ არსებობისა. უფლება არა განყენებული, არამედ რეალური, დამყარებული ხელშეკრულებებზე და განმტკიცებული საერთაშორისო აქტებით.

ასეთია პირველად ხელშეკრულება 1783 წლისა. იგი ამტკიცებს, რომ საქართველო იყო სუვერენული სახელმწიფო. რუსეთმა მოსპო ეს სუვერენობა და დაიპყრა მთელი ტერიტორია. 1801 წ. მიუხედავად ამ ძალმომომრეობისა რუსეთის ძირითად კანონებში მაინც აღინიშნა პოლიტიკური სახე მაშინდელი საქართველოსი. იმპერატორის ტიტულში, სადაც ჩამოთვლილია ტერიტორიალური შემადგენლობა რუსეთის იმპერიისა, ნათქვამია:

«... მეცხვ საქართველოდისა»... იქვე მოყვანილია ღერბი ამ სათაურით: «ღერბი საქართველოს სამეფოდისა». საგულისხმოა სახელმწიფო ბეჭედიც: ორ-



თავიანი არწივის გულზე ამოჭრილია ბეჭდები შემაღალი ქვეყნებისა. სხვათა შორის ბეჭდებიც «საქართველო სსრკ-ის სახელმწიფოს». ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ საქართველო შემოუერთდა რუსეთს, როგორც სამეფო ე. ი. როგორც ერთი მთლიანი პოლიტიკური ერთეული. ამავე სახით აღსდგა საქართველო, როცა დაიშალა იმპერია.

7 მაისს 1920 წელს რუსეთმა ხელი მოაწერა ახალ ხელშეკრულებას, სადაც პირდაპირ ნათქვამია: «რუსეთი სცნობს ყოველი დავის გარეშე საქართველოს სუვერენობას და თავის ნებით ხელს იღებს ყოველ უფლებზე, რომელიც მას ჰქონდა ქართველი ერის და მისი ტერიტორიის მიმართ», ამით თავდება რუსეთთან დამოკიდებულება და საკითხი საქართველოს სუვერენობისა გადადის საერთაშორისო სფეროში.

27 იანვარს 1921 წელს ეს სუვერენობა ცნობილი იქნა de jure უმაღლეს საბჭოს მიერ, სადაც შედიოდნენ: ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და იაპონია. გერმანიამ იგი იცნო კიდევ უფრო ადრე. იცნეს აგრედვე თითქმის ყველა სხვა სახელმწიფოებმა. ამნაირად საქართველოს სუვერენობამ მიიღო საერთაშორისო სანქცია. ამიერიდან მისი საზღვრები ხელშეუხებელია, როგორც ყოველი სუვერენული სახელმწიფოსი. ასეთია ძირითადი პრინციპი ერთა ლიგისა.

მიუხედავად ამისა რუსეთი ისევ დაესხა საქართველოს და დაიჭირა მისი ტერიტორია. რა პოზიცია დაიჭირა ამ საერთაშორისო დანაშაულის წინაშე ერთა ლიგამ? მან ორჯერ დასვა საქართველოს საკითხი 1922 და 1924 წ. და ორჯერვე მიიღო ერთი და იგივე რეზოლუცია: «დაევალოს საბჭოს არ გამოუშვას ხელსაყრელი მომენტი, რათა აღდგენილი იქმნას ნორმალური პირობები საქართველოში». რუსეთი მიდის იმ გზით, რომ ან შიგნიდან აფეთქდება, ან შეეხეთქება რომელსამე მეზობელს, ან თვითონ მოისურვებს შევიდეს ერთა ლიგაში. სამივე შემთხვევაში დგება ეს «ხელსაყრელი მომენტი», როცა ერთა ლიგას შეუძლია ჩაერიოს რუსეთის საქმეებში და აღადგინოს საქართველოს შელახული უფლებანი. აღდგენა კი აუცილებელია, ვინაიდან საქართველო საერთაშორისოდ ცნობილია, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

აი ჩვენი გზა. ის უერთდება იმ დიდ შარა-გზას, რომლითაც მიდის მოწინავე კაცობრიობა. თუ ერთა ლიგა მიზანად ისახავს, დაამყაროს საერთაშორისო განწყობილებაში უფლება და სამართალი, საქართველო პირველი ქვეყანაა, სადაც მის მუშაობამ უნდა იჩინოს თავი. ამნაირად საქართველოს მიეცემა ის საერთაშორისო გარანტია, რომლის ძალით მისი საზღვრები უზრუნველყოფილი იქნება გარეშე ძალების თავდასხმისაგან.

აქედან თქვენ ხედავთ, თუ რა დიდი როლი შეიძლება ითამაშოს «ქართველთა საზოგადოებამ ერთა ლიგისათვის». იგი შედის ამავე სახელის «საერთაშორისო კავშირში», რომელსაც თავის შემადგენლობით და პრესტიჟით დიდი გავლენა აქვს საზოგადოდ პოლიტიკაზე და განსაკუთრებით ერთა ლი-

გის მუშაობაზე. აქ წყდება სხვადასხვა ქვეყნის ბედი და აქ უნდა ვიღვეთ დარაჯად ჩვენი ქვეყნის თავისუფლები.

კრება დიდის თანაგრძობით შეხვდა მოხსენებას და დამწრეთაგან ბევრმა მიიღო მონაწილეობა აძრულ კითხვების გარშემო მსჯელობაში.

სიტყვები წარმოსთქვეს: დ. ვანჩაძემ, ი. დადიანმა, ე. პატარიამ, ვ. ნებიერიძემ, კ. ქავთარაძემ, ალ. ასათიანმა, ა. მევლენიშვილმა, გ. კერესელიძემ და მუჯირმა. ორატორებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ ასეთი ხასიათის მოხსენებები ხშირად გამართოს ქართული სექციის გამგეობამ.

საბჭოთა კავშირის ცნობებიდან

შ ი მ შ ი ლ ი .

შიმშილი საბ. კავშირისათვის აჩრდილი კი აღარ არის, არამედ ფაქტი. ამას მოწმობენ უცხოელი კორესპოდენტები, ამაზე მოსთქვამენ იქიდან მოსული კერძო ცნობები. ბოლშევიკები და მათი პრესა რასაკვირველია სდუმს. შიმშილი კი წელს უფრო ფართო და მძაფრია, ვინემ 1921 წ. იყო. ეს გასაგებიც არის. მაშინ საბ. კავშირში კიდევ არსებობდნენ მოსავლიანი მხარეები. დამშეულმა რაიონებმა იცოლენ, რომ «ტაშკენტი ხლებნი გოროდია» და მასებში ათასობით იქით მიილტვოდნენ, რომელთა უმეტესობა გზაში იხოცებოდა, მაგრამ უფრო ღონიერი მათ გვამებს აბიჯობდნენ და ნანატრ ქვეყნისაკენ მიიწევდნენ. ეხლა კი, კოლექტივიზაციის გამო დამშეულია მთელი საბჭოთა კავშირი.

არ არის დღეს არც ამერიკელების დახმარება. არ გააჩნია ხალხს არც ძველი დაგროვილი დოვლათი. იგი დიდი ხანია შეიკამა და რაც გადარჩა—კოლექტივიზაციის დროს ბოლშევიკებმა მიითვისეს.

ცხადია, ასეთ უნუგეშო პირობებში ხალხი სასოწარკვეთილებას ეძლევა. უკუაზე იშლება და ველურდება. რუსულ გახეთქებში ყოველდღე შეხვდებით გულშემზარავ წერილებს. «ჩვენ ვიღუპებით, განსაკუთრებით სოფელი. შიმშილის გამო ხალხი სივდება და იხოცება. უკრაინაში კი უკვე ადამიანებს სჭამენ.

ბოლშევიკებმა ყველაფერი წაიღეს და შიმშილით ხოცავენ ადამიანებსაც და საქონელსაცო, იწერებინან უკრაინიდან, რომელიც წინეთ რუსეთის პურის ბელლათ ითვლებოდა.

«ვეიშველეთ, ვიღუპებით, გავატაკადით. შიმშილობის ნიადაგზე გახშირდა თვითმკვლელობა და სიგიჟეო», სწერენ შიდა რუსეთიდან. მრავალი ასეთი ცნობების მოყვანა შეიძლება, მაგრამ დასახასიათებლათ ესეც საკმარისია. რუსული ემიგრანტული ორგანიზაციები და კერძო პირები ყოველივე ამას გულთან ახლო იღებენ და შეძლების დაგვართ ცდილობენ უცხოეთიდან შეუმსუბუქონ მოყვასსა თვისა მდგომარეობა.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ საქართველო ამ საერთო უბედურებას აცდა და შიმშილს არ განიცდი! გახეთქებში ამის შესახებ არაფერი იბეჭდება და შეიძლება ამან კაცი შეცდომაში შეიყვანოს. სამწუ-

ხაროთ ეს ასე არ არის. გაჯივრება ჩვენშიც უსახლ-
როა. აი რას იწერებინან გურიიდან: «შიმშილი გვა-
ვიწროებს. მთელს გურიაში გასაყიდ სიმინდს ვერ
იშოვით, არის პურის ფეკილი. მაგრამ იგი იყიდება
ვალიუტაზე და ოქროზე. ამავე დროს ხელისუფლე-
ბა თავისას არ იშლის და გადასახადებს მოითხოვს
და ხალხმა არ იცის, რა ქნას და რა წყალს მიეცეს».

მეორე პირი იმერეთიდან იწერება: «აქაურ გა-
ჯივრებას, კიდევ რომ აგიწროთ, თქვენ მაინც ვერ
წარმოიდგენთ და ვერ გაიგებთ. სიცივე-სიტეტულეს
ესლა შიმშილი მიემატა. სოფელს არაფერი გააჩნია,
ქალაქში კი ყველაფერი იშოვება ტორგსინში ოქრო-
ზე და ვალიუტაზე, მაგრამ ასეთ ბედნიერს აქ ძვირათ
შეხვდებით. ჯამაგირებსაც თავის დროზე არ იძლე-
ვიან. ერთი ერთი იმევე ხალხის არის ხილი, ჭინ-
ჭარი და ტყემალი. თუ ამ დრომდის სული მიიტანა,
მერე შეიძლება კიდევ გასძლოს. თქვენ კი მანდ მზა-
რეულობაზე ლაპარაკობთ, აქ კი ასეთი სიტყვითაც
ალარ ინმარება. მზარეულობა მათაც კი დაავიწყდათ,
რომლებმაც იცოდნენ და ასეთი პროფესია დღეს ჩვე-
ნში აღარც არსებობს».

აი, როგორ გააბედნიერეს ბოლშევიკებმა მათი
ბატონობის 12 წლის თავზე საქართველო. სტალინმა
კი ცინიკურათ თებერვალში ბრძანება გამოსცა:—
ვინაიდან საქართველომ თავის დროზე შეასრულა
გადასახადების აკრეფა, ამიტომ იქ კოლმეურნეო-
ბას ეძლევა თავისუფლათ ვაჭრობის უფლება.

ხალხს სულიდან ხორცამდის ყველაფერი წაარ-
თვეს და ამის შემდეგ ეუბნებინან—აწი შეგიძლია
ივაჭროვო, მაგრამ ანტილობრივ ბოლშევიკებს მა-
ინც ვინაით, რომ კიდევ შეიძლება გაძარცვა და 26
თებერვლის თარიღით მთავრობა სასტიკ ბრძანებას
სცემს: ვინაიდან სოფლის საბჭოებმა და კოლექტი-
ვებმა თავის დროზე არ შეასრულეს ხორცის შეგ-
როვება, ამიტომ «სოციალური საკუთრების დაცვის»
კანონის ძალით, ყველა ის პირები, რომლებიც თა-
ვის დროზე არ შეაგროვებენ და არ გადაიხდიან ხო-
რცის ბეგარას, პასუხის გებაში იქნენ მიცემულიო.

ჭეშმარიტათ, მართლაც რომ იქაური გაჯივრე-
ბის არც განცდა და არც წარმოდგენა ჩვენ არ შეგვი-
ძლია.

სვალის ნიმუშები.

შემთხვევით ხელში ჩამივარდა პიონერთა გაზეთ
«ნორჩი ლენინელის» ამა წლის პირველი ნომერი,
იგი დროგმომწვევით გამოდის თბილისში და ბოლ-
შევიკური გაზეთების მაიმუნური მიმბრძანებლობაა.
იგიც სავსეა «დაკვრებით», «ბრიგადირებით», «ინს-
ტრუქციებით» და სხვა ასეთებით. გარდა ამისა, ამ
ნომერს ამშვენებს ძერქინსკის სურათი და ჩეკის იუ-
ბილეისათვის მიძღვნილი ლექსი, რომელშიც სხვათა
შორის ნათქვამია:

«ვაშა—გ. პ. უ.—შენი განაჩენი
ბოლშევიკურათ არის დაწერილი!
როგორც პოეტმა—პოლიტიკურმა
უნდა შეასრულო შენი გაკვეთილი.
სოციალიზმის ყველა მანებელი
დიქტატურის ტყვეით იყოს დახვრეტილი».

ეს ასე რომ ვსტკვით პოეზიაა. პროზით კი ჩამო-
თვლილია, თუ ვინ რამდენი ჩვრები და ძველი ქალა-
ლდი შეაგროვა თფილისში. ნორჩი პიონერებს შეუ-
გროვებიათ სულ 1230 ფ. ქალაქი და 50 ფ. ჩვარი.
სენაკი სხვებს ჩამორჩენია და ამის გამო ვილაც სი-
სორდია (ალბათ პიონერია) ბრძანებს: «ასე არ ვარ-
გა. საჭიროა მართლა ყველაფერი თავის რიგზე
იყოს და ბ. ჯ. ო. რანის ბიუროს თავმჯდომარემ
დაკვრითი წესით გამოასწოროს თავის ნაკლი და ქა-
ლაქი და ჩვრები დროულათ შეაგროვოს».

ასეთია ძველების შეგროვების ფრონტზე პიო-
ნერთა «მიღწევები». პიონერთა ხელმძღვანელები
არც პოლიტ-განათლების მუშაობით არიან კმაყო-
ფილი. მაგალითად, სწერია ამავე გაზეთში: «ქვედა
ცაგერის ნორჩი პიონერთა რახმის მუშაობა სამარც-
ხვინოდ ჩამორჩა. რახმში სუსტათ არის დაყენებული
პოლიტ-ალმხრდლობითი მუშაობა. შეკრებები არ
ტარდება სისტემატიურათ. პიონერები არ იცნობენ
საკავ. კომპარტიის ცუკას 25 ავგისტოს დადგენილე-
ბას, დაბალია სკოლაში შეგნებული დისციპლინა,
სწავლის ხარისხი და არ ვრცელდება «ნორ. პიონე-
რის» არც ერთი ცალიო». სამარცხვინო ის კი არ
არის, რომ ლეჩხუმელი ბალები ცუკას დადგენი-
ლებას არ იცნობენ, არამედ ის, რომ ამის ცოდნას
მოითხოვენ მათგან.

სამაგიეროთ თფილისში იცნობენ მას და ისიც
ვიციტ. რა ნაყოფი მოაქვს კომსომოლებისა და პიო-
ნერების მუშაობას. აი რას სწერდა გასული წლის
დეკემბერში გაზ. «კომონისტი»: «ამ უკანასკნელ ხა-
ნებში თფილისის სკოლებში გახშირდა ხულიგანური
მოქმედებები, მასწავლებლების შეურაცყოფა, სქე-
სობრივი თავაშეებულება, დებოშები, აყამაყალი
ქუჩებში და სხვა. რომელთა ინიციატორებათ უმთა-
ვრესათ მცირე წლოვანი მოწაფეები გამოდიანო». ამის
შემდეგ გაზეთს მოყავდა გახრწილების მრავა-
ლი მაგალითი და ისტერიულად გაიძახოდა—სკოლა
უნდა თავის სიმალეზე დაეყენოთ და ხულიგანები-
საგან გაგწმინდოთ!

მაშინ პირველ ჩოვლისა უნდა დაიხუროს კომ-
სომოლებისა და პიონერების ორგანიზაციები.

ალფა.

ს ა ძ რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე ბ ი

(ქუნდალ-გაზეთებიდან)

ი. გრიშაშვილს დაუშნადებია დასაბეკდად «ალ.
ჭავჭავაძე» და «ქალაქის ლექსიკა» (ხუთ ათასამდე
სიტყვა, რომლებიც ლექსიკონებში არ შედიან) და
ამხადებს «ქართული იუმორის ისტორიას» და «ქარ-
თული თეატრის ისტორიას». სთარგმნის აგრეთვე
სპარსულიდან ომარ ჰაიამას რუბაიებს.

— მოკლე დროში გამოვა შ. ამირანაშვილის «სა-
ქართველოს ხელოვნების ისტორია».

— ირ. ტატიშვილმა და დ. კასრაძემ გადმოთარ-
გმნეს ინგლისურიდან შექსპირის «ნამთრის ზღაპრე-
ბი» და შეუდგენ «ქარიზხალის» თარგმნას.

ქართველთა კოლონიავი

წერილი პრადიდან

ამა წლის 30 აპრილს შესდგა საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის წევრთა წლიური სხდომა— ბ. გ. ყურულის მოხსენების: «ქართველი ერი მშენებლობაში»— მოსასმენად და ასოციაციის თავმჯდომარე გამგეობის წევრთა ასარჩევად. კრების გახსნისათვის ასოციაციის წევრმა ბ. გ. გველიამ მოითხოვა სიტყვა პირადი განცხადებისათვის. მან სთხოვა საზოგადო კრებას კომისიის დანიშვნა იმ წერილთან დაკავშირებით, რომელიც გაზეთ «პოსტალნი ნივოსტ»-ში იყო გამოქვეყნებული და სადაც მას ბრალს სდებენ პროვოკატორობაში. ამ განცხადების გამო გამართა კამათი, და ასოციაციის საზოგადო კრებამ გადაწყვიტა დაევალოს საქმის გამოძიება და დასკვნების გამოტანა გამგეობასა და სპეციალურად არჩეულ კომისიას, რომელშიც შედიან წევრებად: ბბ. ზ. ავალიშვილი, რ. არსენიძე, გ. კერესელიძე, ნ. ცინცაძე და რ. ცხაკაია.

გამგეობის თავმჯდომარეს ბ. ყურულს და გამგეობას კვლავ სთხოვეს განეგრძოთ მუშაობა, მაგრამ მათ ეს არ მიიღეს და ბ-ნმა თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არჩევნები შემდეგ საზოგადო კრებაზე უსათუოდ უნდა მოხდესო.

N.

ადმირალ გეპრატის მოხსენება

საქართველოს მეგობართა ფრანგულ საზოგადოებამ 8 მაისს «ფრანს-ორიანის» დარბაზში გამართა ადმირალ გეპრატის მოხსენება: «ზღვასა და მეზღაურებზე».

პატივცემული ადმირალი დიდი ომის დროს ფრანგულ საზღვაო ძალებს სარდლობდა დარდანელში და თავის მოხსენებაში მოიყვანა მრავალი ფრიად საინტერესო ეპიზოდები ამ ბრძოლებიდან. ადმ. გეპრატი საქართველოს მეგობართა საზოგადოების თავმჯდომარედ არის არჩეული და თავისი საინტერესო მოხსენებაც ამ საქმეს დაუკავშირა. მოხსენების შესავალში მან მსურვალე თანაგრძნობით მოიხსენია საქართველო და მისი წარსული. მოხსენების შემდეგ საზოგადოებას აჩვენეს ფრანგული ფლოტის შესახებ საინტერესო ფილმი და დასასრულ შესრულებულ იქმნა მელიოდეკლამაციის ნიმუშები. კრებას ხელმძღვანელობდა ფრანს ორიანის თავმჯდომარის მოადგილე ადმირალ მორნეი, ხოლო მხატვრულ განყოფილებას ადმირალ გეპრატის მეუღლე. საქართველოს ელჩი ბ. ა. ჩხენკელი მიწვეული იყო პრეზიდენტის მაგიდაზე და როგორც თავმჯდომარემ, ისე ადმ. გეპრატმა მას საღამო მიუძღვნეს თავის სიტყვებში. ამ საინტერესო მოხსენებას საზოგადოება მრავლად დაესწრო და ფრიად კმაყოფილი დარჩა როგორც მოხსენების შინაარსით, ისე მისი ფორმით და იმ თბილ განწყობილებით საქართველოსადმი, რომლითაც ის იყო გამსჭვალული.

ჩხენკელმა პროფესორმა ბ. ალ. ბატიეკმა გადათარგმნა ინგლისურიდან ჩხენკელის ქართული ლექსი «სილამაზე» («როსტომელა») და კიდევაც წაიკითხა ის თვითონ სხვადასხვა კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებებში, რომლებსაც საყვარელ და პაპულარულ ლექტორათ ითვლება ეს პატივცემული პატრიოტი და დემოკრატი ახალგაზდა ჩხენოსოვაციის რესპუბლიკის. გასულ აპრილში დიდი ხელოვნებით წაუკითხა მან სხვათა შორის ეს ლექსი ერთ ერთ ზემოხსენებულ საზოგადოებას პრადის უნივერსიტეტის უძველეს შენობის ერთ-ერთ ხალაში,— იქ სადაც ერთ დროს ქადაგებდა უდიდესი რელიგიოზური რეფორმატორი იოანე ღუსი: 1400 წ. კი რექტორიც ამ უნივერსიტეტის. ბ. ბატიეკმა წაუხმძვარა ლექსის წაკითხვას მოკლე ისტორია და მდებარეობის აწერა საქართველოსი, ძველი კოლხიდასი, რომელიც იყო ქვეყანა ოქროს ვერძის. თქვენ მოგეხსენებათ, ამბობს ის, რომ აქ აქვს სწორეთ დასაბამი ოქროს ვერძის ორდენს, რომელიც საშუალო საუკუნეებში შემოიღო პაბსტურგთა დინასტიამ, როგორც უმაღლესი ჯილდოთა შორის. და უკანასკნელი მეფე ავსტრო-ვენგარიის ფრანტიშეკ იოსეფი სწორეთ უკანასკნელი კავალერი იყო ამ ორდენის... ენლა კი ძველი კოლხიდა და დღევანდელი საქართველო,— ერთი უუკულტურესი მხარე კავკასიაში, დაპყრობილია და განიცდის უსამართლობას სხვისი ქვეყნის კომუნისტთა მოვლინებულის; ვუსურვოთ ამ ქვეყანას მალე დაეღწიოს თავი დღევანდელი მდგომარეობისაგან. ლექსის წაკითხვის შემდეგ მან უჩვენა მსმენელებს ზოგიერთი სურათები საქართველოდან და განსაკუთრებით შეჩერდა ქართველი ქალის საზღაპრო სილამაზეზე. მან სთხოვა აუდიტორიას დაინტერესდეს საქართველოთი. აქ არის ჩემი მეგობარი — ძე,— ამბობს ის, რომელიც გავწვდის ჩვენ ინფორმაციას საქართველოზე და გვაყვარებს მის ტანჯულ სამშობლოს,— ვისაც სურვილი ექნება უფრო დაუახლოვდეს საქართველოს,— ყოველწლიურ ცნობებს მიიღებს მისგან. საქართველოსთან დაკავშირებით ბ. მოხსენებელმა მთელი საათი უძღვნა კომუნისტების, როგორც რელიგიის, დახასიათებას. აუდიტორია მეტათ კმაყოფილი დარჩა მოხსენილით და პროფესორი ბატიეკი ტაშით დააჯილჯოვა.

გლ.

დასაბეჭდი წიტილები, ფული და სხვა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r O U R A T A D Z E
10. rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France

ისტორიული აგებები

ღმთღვანნი ღღმნი.

გიორგი მესამე *) განდგომილი ანისიკვლავ და-
იმორჩილა, ხოლო რომ გამობრუნდა, თურქნი დიდი
ჯარით მიადგნენ ქალაქს და ისევ აიღეს. გიორგიმ
ხელახლა გაილაშქრა, სამ დღეს ებრძოდა მტერთ და
მეორედაც დაამარცხა. დარჩა იქ, სანამ არ განაგო
კეთილად და არ «დაიშვირნა სიმტკიცედ, ტახტისა
თვისისა შესანახავად და განსამაგრებლად». დასტოვა
გამგედ იოანე ორბელი, მანდატურთ უხუცესი და
თანაშემწედ სარგის მხარგრძელი დაუნიშნა და მო-
ვიდა ნაჭარმაგვეს, სახლსა სალხინოსა და შეექცე-
ვოდ და ნადირობდა, რამეთუ იყო მოისარი შეუ-
ღარებელი.

თურქნი ანისის წართმევას არ შეუურიგდნენ, «აღ-
ღესნეს კბილნი მათნი» და შაჰ-არმენის მეათურო-
ბით წარმოემართნენ ანისისკენ—ოცდაათი ათასი მე-
ომარი. ეს რომ გიორგი მეფემ შეიტყუა, მყისვე შე-
კრიბა დასნი ზემონი და ქვემონი და თუმცა მცირე
სპა ჰყავდა, «არლარა მომლოდინე ექმნა სახელგანთ-
ქმულთა ჰაბუკთა ლიხთ-იმერთა და ვიეთმე ამიერ-
თაცა» და სისწრაფით გასწია სელჩუკთა (თურქთა)
დასახვედრად. დიდი იყო მტერთა სიმრავლე და მწი-
გნობართ უხუცესი და სპასალარი სუმბატ სვიმონ-
ქმნილი ურჩევდნენ მეფეს დაცდასა და არა შეტევას.
ეტყოდნენ: «ნუ უკვე ყამი არს ომისა და ყამი არს
სივლტოლისა, ვინაითგან ყოველსა საქმესა ყამი მია-
ჩანს, რამეთუ ოდესმე აღექსანდრეცა უძლეველი
იძლია დედაკაცისაგან და ეგრეთვე სამფსონ დალი-
ლასაგან და სოლომონ სიბილასაგან».

არ დამორჩილდა მხნე მეფე, პირ-მზე და ტან-
ღღმი, გარდმონდა ჰუნედან და ილოცა ცრემლით.
შემდგომად ამხედრდა, მიმოავლო თვალი ველსა სა-
ბრძოლველსა, სადაც თურქთ არ შეეღლოთ ფართოდ
გაშლა, განაწყო სპანი წყნარად, უშფოთველად და
გამოცდილებით და განამხნევა მხურვალე სიტყვით:

«ყაცნო ძმანო, ერთსულნო და ერთსისხლნო!
რაოდენ უფრო სასახელა მხნეობრივი სიკვდილი,
ვინემ სენთაგან დნობითა, რამეთუ სახე და სახელი
კეთილი საუკუნოდ გზად გვეყბის. და გვსმენია მომ-
თხრობელთაგან ძველთა, თუ რაოდენი კვეთებანი
თავს ისხსნეს ტომთა ებრაელთა ბაბილონთა და რო-
მთაგან, თუ რაოდენი სიმტკიცე და გულოვნება უჩ-
ვინეს სპარსთა თერმოპოლეში ლეონიდემ და მისმა
სამასმა სპარტაელმა; გვსმენია, თუ ვითა უკურღვე-
ულ იქმნა მცირითა ელენთა სპითა უცთომელის სპა-
სპეტის თემისტოკლესაგან მთელი ხმელეთის და
ზღვათა მქონებელი ქსერქსი!»

«თქმულაცა სიმხნენი და ძლევაგამოსილებანი ნა-
თესავისა ჩვენის, თქმულაცა სიმკვეთრე ისრისა გო-
რგავლისა, სიბასრე მახვილთა ბაგრატის და მესხის-
ტხნანი დავითისნი! ფრთოვანნო ღღმნო ჩემნო, აწ
თქვენც აღიხნეთ ლახვარნი და ოროლნი და უგმი-
რეთ მტერთა ჩვენთა!»

განჰყო მეფემან სპანი. მისცა სუმბატს ამილა-
ხორსა და ბეშენს სურამელს სამსამი ათასი და მცი-
რენი თვით დაიშვირნა და ჰრქვა მათ:

«ჩვენ სამთაგან რომელმან უხეტქოს პირველად
დროშასა მათსა, იგი ვსჯობთ».

ამხედრდნენ ქართველნი და ეკვეთნენ სამად-
ცხარე და სასტიკი ბრძოლა იყო, საღამომდის გაგრ-
ძელდა. ყველაზე თავგამოდებულად მეფე იბრძოდა,
რომელმაც დასცა თურქთა მედროზე და ამათ რა
იხილეს დროშა დაცემული, უკუიქცნენ.

სდევნიდნენ მათ სპანი გიორგისანი და შემო-
ბრუნდნენ გამარჯვებულნი და წამოასხეს ტყვე უთ-
ვალავი და წამოიღეს განძი აღრიცხვად შეუძლებე-
ლი. იხარებდნენ და იშვებდნენ და ამბობრს უყოფენ
ურთერთს.

დაჰყო გიორგი მეფემ კართა ანისისათა, დააყენა
ამირა და ლაშქარნი და წარმოვიდა და «წარმოავლი-
ნა მახარობელნი წინაშე ფილოსოფოსთა და პატრი-
არქისა». და რა მოვიდა სახლად, პირველად ნახა გა-
მზრდელი თვისი და მამიდა თამარი, რომელმან და-
ალტო სიხარულისა ცრემლით. შემოეგება ცოლი
ბურღუხან, ასული ოვსთა მეფისა ხუდდანისი, უკე-
თესი დედათა ყოველთა სიკეთითა და ხორციელთა
სიტუროფითა, და ეპყრა ხელთა ჩჩვილი თამარი,
შვილი მათი, «ნათელი და ბრწყინვალეობა თვალთა
მათთა.»

მეფე მოეხვია და გადაკაცნა ცოლი და შვილი.
მერმე აიყვანა ხელში ბავში, ასწია მალლა და ჰრქვა:

«მეფეო ჩემო, ამაღლდი და იყავ ღვთის სწორი
და ჰმატებდე ყოველთა მეფეთა სიძლიერით და სიმ-
დაბლით, სიბრძნითა და სიმშვიდით, სიმართლითა
და სიკეთით, და სახელი შენი მარად სათაყვანებელ
ექმნეს ქვეყანასა ჩვენსა»...

კვლავ შეკრბნენ თურქნი ხვარასნისა და ერაყისა
და ხალიფისანი, მოადგნენ სომხეთს, აიღეს გაგი და
მოაოხრეს საზღვარნი მისნი. მაგრამ იძლივნენ ისევ
გიორგისაგან და იტყოდნენ: არა არს დღეს კაცი პი-
რისპირ შემმელი გიორგისა და ლაშქართა მისთა,
მოვერიდოთ და დავფუარნეთ პირისა მათისაგან.

შეიქცნენ და წარვიდნენ სირცხვილეულნი და
ითხოვეს ზავი.

ს. ფიდგნალავა.

წიკილი რედაქციის მიხარო

პატენღ რედაქტორღ,

უმორჩილესათ გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი გა-
ხეთის საშვალეობით მადლობა გამოუცხადო მთავ-
რობის თავმჯდომარეს ბ-ნ ნოე ყორდანიას და ყველა
მათ, ვინც კეთილ ინება და თანამიგრძნო პირადათ,
წერილობით თუ პანაშვილზე დასწრებით (2 მაისს ქ.
ვარშავაში) საყვარელი დის—ლუდიკოს—უდროოთ
დაკარგვით გამოწვეულ ამ ჩემთვის უბედურობის
დროს (გარდაიცვალა ხაშურში მიმდინარე წლის 9
მარტს და დასაფლავებულ იქნა ლანჩხუთში 14
მარტს).

*) თამარის მამა, მეფობდა 1156-84 წლ.